სამინისტროს მიერ პროექტის დაწყებამდე შერჩეული სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლების დაკავშირება სისტემასთან, რათა დადასტურდეს სისტემის არქიტექტურის მიწოდება. ამ უკანასკნელის პირობები აღწერილია SOW-ის შემდეგ თავებში.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად MoLHSA-მ გადაწყვიტა მიმართოს EMC-Consulting-ს მომსახურებისათვის, რათა მან MoLHSA-სთვის შეასრულოს ამ დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაოები. EMC იმოქმედებს, როგორც გენერალური კონტრაქტორი (უნდა იყოს კონტრაქტზე პასუხისმგებელი), რათა უზრუნველყოფილი იყოს კონსორციუმის სხვა წევრების (6PM-ის, Mokipay-ის და Laserbiomed-ის) მიერ SOW-ით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება.

ყველა ახალი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება ამ SOW-ს, აისახება პროექტის მე-2 ფაზაში ცვლილების მართვის პროცედურების⁴ გზით, რომლებიც განსაზღვრულია ამ SOW-ით.

³ Enterprise Content Management (ECM)


⁴ Change Control Process



ეს ტექნიკური დავალება (SOW), მე-10 თავში მოცემულ წესებთან და პირობებთან ერთად, წარმოადგენს „ხელშეკრულებას“ გათვალისწინებული მომსახურებების შესრულებისათვის.

2. კონცეპტუალური გადაწყვეტა

მოცემულ თავში აღწერილია ამოცანის შესაძლო გადაწყვეტის ძირითადი კონცეფციები, რომელთა მატერიალიზება შესაძლებელია ამ ტექნიკური დავალებით (SOW) გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების გზით.



იმის გათვალისწინებით რომ, ბიზნეს და ფუნქციონალური მოთხოვნების ანალიზი⁵, ასევე სისტემის დიზაინი სრულად ჯერ არ არის წარმოდგენილი, სისტემის საბოლოო სახე შესაძლოა იყოს განსხვავებული. ამ თავის დანიშნულებაა უბრალოდ შექმნას წარმოდგენა MoLHSA-თვის, თუ როგორია EMC-ის მიერ არსებულ ამოცანის აღქმა და უზრუნველყოს აღნიშნული კონცეფციების წარმოდგენა EMC Documentum⁶-ის ფარგლებში.

2.1. Georgia EMR-ის პირველი ფაზა - მომსახურების შეთავაზება

პროექტის პირველ ფაზაში მიწოდებული იქნება:

⁵ Business and Functional Requirements Analysis

⁶ EMC-ის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა

8.

სისტემა, რომელშიც დაცული იქნება საქართველოს მოსახლეობის ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები (EMR);

შესაძლებლობა, რომელიც საშუალებითაც შესაძლებელი იქნება პაციენტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება (ა) ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სტანდარტის (HL7)⁷ საშუალებით და (ბ) ხელით Web-გვერდის მეშვეობით;

მოქალაქის პორტალის „მსუბუქი ვერსია“ შეზღუდული ფუნქციონალით, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქისათვის მის სამედიცინო ინფორმაციასთან წვდომას არა რედაქტირებად (მხოლოდ კითხვად) რეჟიმში.

- აღნიშნულის განხორციელება მოხდება მოქალაქეებზე, რომელთაც მომსახურება პროექტის პირველ ფაზაში შერჩეული 1 მთავარი ჰოსპიტალი და 10 ზოგადი პრაქტიკის ექიმი, და რომლებიც იყენებენ ელექტრონული მთავრობის არსებულ პორტალს.

ექიმის პორტალის „მსუბუქი ვერსია“ შეზღუდული ფუნქციონალით, რომელიც უზრუნველყოფს ექიმებისათვის იმ სამედიცინო ინფორმაციის ძიების, ნახვისა და განთავსების შესაძლებლობას, რომელიც პროექტის მიმდინარეობის პროცესში განისაზღვრება როგორც EMR-ის მინიმალური სამედიცინო ინფორმაცია.

- აღნიშნულის განხორციელება მოხდება 10 ზოგადი პრაქტიკის ექიმის მიერ, რომლებიც MoLHSA-ს მიერ შერჩეული იქნებიან პროექტის პირველ ფაზაში

EMR-ის Mobile-აპლიკაცია, რომელიც მოქალაქეს, უსაფრთხოების დაცვით, მისცემს საშუალებას არა რედაქტირებად რეჟიმში დაათვალიეროს საკუთარი სამედიცინო ჩანაწერები მობილური მოწყობილობის (ტელეფონი, Smartphone) საშუალებით.

EMR-ის დანერგვის პირველი ფაზის დასრულების შემდეგ MoLHSA-ს ექნება საშუალება გაზარდოს სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა მოცემულ ფაზაში მიწოდებული მოდულებისა და ფუნქციონალების გამოყენებით. 3.5 თავში აღწერილი ტრენერების ტრენინგის მიდგომა არის საკვანძო საკითხი რაც უზრუნველყოფს ავტონომიურობას.

2.2. Georgia EMR-ის პროექტის მიდგომა

ქვემოთ მოცემულია არეები და მოსაზრებები, რომლებიც განხილული იქნა MoLHSA-სთან და MoJ⁸-სთან:

EMC-ი უზრუნველყოფს ტრენერების ტრენინგს ყველა დანერგილი მოდულებთან მიმართებაში. ამ გზით MoLHSA-ს წარმომადგენლები სრულად იქნებიან გათვითცნობიერებულები სისტემებში, რომლებიც დანერგილი იქნება პირველ ფაზაში.

MoLHSA იქნება პასუხისმგებელი მოიძიოს ჯანდაცვის სისტემის შესაბამისი

⁷ ელექტრონული სამედიცინო ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტი - Health Level 7 (HL7)

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პირველი ფაზის აქტივობებში. აღნიშნული გულისხმობს ერთი მთავარი ჰოსპიტალის და 10 ზოგად პრაქტიკის ექიმის შერჩევას და შერჩეულ საავადმყოფოს პაციენტებთან კომუნიკაციას.

პირველი ფაზის ფარგლებში არ შედის გამოსახულებითი დოკუმენტები (მაგ: DICOM), ქაღალდის დოკუმენტების სკანირების ფუნქციონალი, ისტორიული ჩანაწერების ან მონაცემების მიგრაცია, ფარმაცევტული და ელექტრონული რეცეპტის სიტემა და ფინანსური მოდული.

პირველი ფაზის ფარგლებს გარეთაა შემდეგი აპლიკაციები: Cloud-ის ტიპის HIS⁹, ფინანსური მოდული, ელექტრონული რეცეპტის/ფარმაცევტული პორტალი, საზოგადოების ინფორმირების პორტალი.

პროექტის გუნდის და გამოყენებული დოკუმენტაციის ძირითადი ენაა ინგლისური. გუნდური პროექტისა და დოკუმენტაციის პირველადი ენაა ინგლისური. ხოლო სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელი იქნება ქართულ და ინგლისური (აშშ) ენების გამოყენებით (Unicode-ის მხარდაჭერით);

Hardware-ის (აპარატურა, მოწყობილობები) შესყიდვა არ არის EMC-ის პასუხისმგებლობის საგანი. უკვე წარმოდგენილია დოკუმენტი სისტემის წინასწარი არქიტექტურის მოცულობასთან დაკავშირებით, თუმცა სისტემის სრული დიზაინის დოკუმენტი EMC-ის მიერ წარმოდგენილი ამ პროექტის ფარგლებში.

Hardware-ის შესყიდვების პროცედურების მართვას საქართველოში უზრუნველყოფს MoLHSA. ასე რომ, სავსებით სავარაუდოა, რომ დეველოპმენტის¹⁰ საწყისი სამუშაოები განხორციელდება საჭირო იყოს Laserbiomed-ის, Mokipay-ის და EMC-ის შიდა ლაბორატორიებში.

პროექტის მთავარი გუნდი იმუშავებს საქართველოში, რომელთათვის საჭირო სამუშაო ოფისები უზრუნველყოფილი იქნება MoLHSA-ს მიერ. დეველოპმენტის სამუშაოების ძირითადი ნაწილი განხორციელდება offsite-რეჟიმში¹¹.

EMC წარმოადგენს გენერალურ კონტრაქტორს, შესაბამისად იგი იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას მისი კონსორციუმის და სუბკონტრაქტორების მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობასთან დაკავშირებით.


⁹ Health Information System

¹⁰ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის სამუშაოები

¹¹ იგულისხმება, რომ დეველოპმენტის ძირითადი ნაწილი განხორციელდება მომწოდებლის შიდა ლაბორატორიებში.



2.3. Georgia EMR-ის ტექნიკური დაგეგმარება



სისტემის ტექნიკური არქიტექტურა მოიცავს თავის კლასში საუკეთესო ტექნოლოგიების კონსორციუმს, რათა უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს EMR-ის სრული სისტემის ფუნდამენტი.

სისტემის ტექნიკური დაგეგმარება ითვალისწინებს¹²:

EMC Documentum Services

- EMC Documentum Platform
- Retention Policy Services
- Content Storage Services
- Trusted Content Services
- ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროდუქტი გაერთიანებულია ერთ მთლიან შეთავაზებაში სახელწოდებით EMC Documentum Health Information Platform (HIP)

EMC XDS landscape

- XDS.b Registry powered by EMC XDB Engine
- XDS.b Repository powered by EMC Documentum Repository
- XDS.b Services connectivity Web Services engine for message routing and management

wHospital HealthCare Platform

- wHospital Engine providing Framework Manager & Central EMR UI
- HL7 Message Fabric
- Integration with EMC XDS Registry & Repository wHospital Web Application Portals
- ექიმის პორტალი. უზრუნველყოფილი wHospital configure interface-ის

¹² ჩამონათვალი მოცემულია საბეჭდო პროგრამული პროდუქტები, რომელთა თარგმანი ამ შემთხვევაში არ არის რელევანტური

8. *[Handwritten signature]*

[Handwritten signature]

საშუალებით

- ელექტრონული მთავრობის პორტალთან ინტეგრირებული მოქალაქის პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს EMR-ის მონაცემებს გაცვლას XDS consumer web services-ის საშუალებით

Mokipay Mobile Platform

- Mokipay Mobile Application Server
- Mobile Application for Android & iPhone Platforms

Mobile Authorization platform readiness for mob application and portals (mPKI system will be acquired separately by Georgia Information displaying on personal mobile wallet from EMR, integration with EMC XDS Registry) Displaying Health system places like Drug Stores and Hospitals on the map and list with additional information on objects

სისტემის ტექნიკური დაგეგმარება არ ითვალისწინებს:


EMC VCE vBlock Infrastructure

- ქართული მხარის გადაწყვეტილებით ტექნიკურ დაგეგმარებაში არ იქნა გათვალისწინებული EMC VCE vBlock-ის არქიტექტურა, შესაბამისად იგი იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს ბაზისური არქიტექტურა EMC-ის ტექნიკური დიზაინის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

EMC HealthCare Connector


- პროექტის პირველი ფაზა არ მოიცავს DICOM-ის ტიპის რაიმე გამოსახულებითი ინფორმაციის არქივირების სისტემას. ამიტომ HCC¹³ არ იქნება კონფიგურირებული, ასევე არ იქნება ლიცენზირებული პროექტის პირველ ფაზაში გამოყენებისათვის.

¹³ დაარქივების სპეციალური სისტემა - Exadata Hybrid Columnar Compression



2.4. Georgia EMR-ის პროექტის ორგანიზება

პროექტის პირველი ფაზის ორგანიზება მოხდება შემდეგნაირად:



კონსორციუმის ცალკეული წევრის ძირითადი პასუხისმგებლობები წარმოდგენილია შემდეგნაირად (ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ EMC-ის აკისრია მთავარი საკონტრაქტო პასუხისმგებლობა ყველა ამგვარ მოვალეობასა და აქტივობებზე);

კონსორციუმის მონაწილე	ძირითადი პასუხისმგებლობები
EMC	პროგრამის სრული მართვა; სრული პასუხისმგებლობა მიწოდებულ ფუნქციონალურ გადაწყვეტებთან დაკავშირებით; ტექნიკური არქიტექტურის არა ფუნქციონალური მოთხოვნების კოორდინაცია და ურთიერთობა სამინისტროს IT-სთან; EMC Healthcare Information Platform (HIP)-ის დიზაინი, ინსტალაცია, კონფიგურაცია, ტრენერების ტრენინგის

8.

	სახელმძღვანელოები სისტემის ადმინისტრირებისთვის, ინტეგრაციის პროფილები.
6PM	ჯანდაცვის პროექტის სრული AGILE¹⁴-ტიპის მართვა პროექტის აქტივობების ყოვლისმომცველი მხარდაჭერა მისი სამუშაოს მოცულობის მართვის დონეზე ხარისხის მართვის მთავარი მენეჯერი, რათა ზედამხედველობა გაუწიოს პროგრამის ტესტირების დონეს ტრენინგების მართვის მთავარი მენეჯერი, რათა ზედამხედველობა გაუწიოს პროგრამის ტრენინგების დონეს
Laserbiomed	სრული პასუხისმგებლობა EMR "Presentation Layer"-თან დაკავშირებით wHospital-ის ინტეგრაცია EMC XDS რეგისტრთან და მონაცემთა საცავთან ვორქშოპები ქართულ მხარესთან EMR-ის ინფორმაციის მოცულობის განსაზღვრის მიზნით ვორქშოპები ქართულ მხარესთან ექიმის პორტალის დიზაინის განსაზღვრის მიზნით ვორქშოპები ქართულ მხარესთან რათა უზრუნველყოფილი იქნას მოქალაქის პორტალის ინტეგრაცია wHospital-ის ლოკალიზაცია ინგლისურ (აშშ) და ქართულ ენებზე, ტრენინგების ტრენინგის სახელმძღვანელოები სისტემის ადმინისტრირებისათვის.
Mokipay	სრული პასუხისმგებლობა "Mobile Health"-თან დაკავშირებით ინტეგრაცია EMC XDS რეგისტრთან, Mokipay-ის ლოკალიზაცია ინგლისურ (აშშ) და ქართულ ენებზე, ტრენინგების ტრენინგის სახელმძღვანელოები სისტემის ადმინისტრირებისათვის.

¹⁴ პროექტის წარმართვის სპეციფიკური მეთოდოლოგია



2.5. Georgia EMR-ის პროექტის გეგმა-გრაფიკი

[illegible]

პროექტის პირველი ფაზის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 22 კვირა. 22 კვირაზე მეტი ნებისმიერი დამატებითი ვადა მოითხოვს ცვლილებების მართვის პროცედურებს. პროექტი განხორციელდება Agile მეთოდოლოგიის გამოყენებით, და იგი წარმართება 6PM-ის მიერ. კონტრაქტის თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სრულფასოვანი მონაწილეობა პროექტის ინიცირებისა და კონტროლის ფაზაში. ამასთანავე გათვითცნობიერებულია და შეთანხმებულია ის, რომ 7.1 თავში მოცემული ხარჯები სრულად ფარავს ამ SOW-ით გათვალისწინებული სამუშაოების და ფუნქციონალის მიწოდებას, რომლებიც უფრო დეტალურად იქნება აღწერილი ტექნიკური არქიტექტურის დოკუმენტის ფაზაში. ამასთან არანაირი დამატებითი ხარჯების დაფინანსება არ იქნება მოთხოვნილი MoLHSA-საგან, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სამუშაოებისა და ფუნქციონალის მოწოდებისათვის საჭირო გახდება უფრო მეტი დრო.

15. քշտան

¹⁶ User acceptance testing, გულისხმობს მომხმარებლის მიერ სისტემის ტესტირებას, იმისათვის რომ შეფასდეს, მისაღებია თუ არა სისტემა

8. 

~~WNA~~

3. სამუშაოს აღწერა

პროექტში საერთო ჩართულობა დაყოფილია სამუშაოს ინდივიდუალურ პაკეტებად (WP)¹⁷, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი მოსაზრებების, წინა-პირობების და სავარაუდო კაც-დღეების რაოდენობების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია სასურველი შედეგების მისაღებად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში EMC იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი რეზულტატების დროულ და ეფექტურ მიწოდებაზე, და ასევე მიწოდებული რეზულტატების ხარისხზე, რაც შეესაბამება ამ SOW-ის მოთხოვნებს.

3.1. EMC-ის სამუშაო პაკეტი 1 - პროექტის ინიცირება

„პროექტის ინიცირების“ ფაზა მოიცავს MoLHSA-სთან ურთიერთობის მიზნების, შესაბამისი მოლოდინების, წარმატების კრიტერიუმების და მონიტორინგის ინსტრუმენტების განსაზღვრასა და დოკუმენტირებას

პროექტის ინიცირების ამოცანები, რომლებიც უნდა განისაზღვროს და შესრულდეს ამ SOW-ს მიზნებისათვის, მოიცავს:

პროექტის ინიცირების ფაზის ვორქშოპები: დამატებითი დისკუსია მუშაობის ფორმატის, მიზნებისა და მასშტაბების თაობაზე, რათა ნათლად იქნას აღქმული დაინტერესებული მხარეების (დამკვეთის) მოლოდინები და მიზნები, რომლებიც ნათლად უნდა იყოს გამოხატული და ყველა შესაბამისი მოთხოვნები ერთმნიშვნელოვნად იქნას ჩამოყალიბებული.

პროექტის განაწესი: პროექტის ინიცირების ფაზის ვორქშოპების დროს არსებული დისკუსიების და შესაბამისი შედეგების დოკუმენტირება, ისეთი დეტალების გათვალისწინებით, როგორიცაა როლები/პასუხისმგებლობები, ცვლილებების მართვის პროცედურები, კონტროლის ინსტრუმენტები (მაგ: ოქმები, რისკების რეგისტრაცია, ცვლილების მოთხოვნა, კომუნიკაცია და სხვ).

პროექტის დაგეგმვა: დეტალური გეგმა შესაბამისი ამოცანების, ეტაპების, რესურსების და სხვა დეტალების გათვალისწინებით.

წინაპირობები:

სამუშაო პაკეტებში დეტალურად მოცემული ყველა წინაპირობა არის მუდმივი და კუმულაციური მათი გამოყენებისას (ანუ მათი შესრულება ხდება მუდმივად და ცალკეული სამუშაო პაკეტის მიხედვით)

MoLHSA უზრუნველყოფს შესაბამისი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე ვორქშოპებზე შესაბამისი პერსონალის დასწრებას, რომლებიც გონივრულ ვადებში უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებებს ცალკეული სამუშაო პაკეტის შესაბამის ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებით ან წარმოადგენენ ტექნიკური ან/და ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებულ შესაბამის პასუხებს.

MoLHSA წინასწარ დანიშნავს სრულ-განაკვეთზე მომუშავე კვალიფიცირებულ პროექტის მენეჯერს (PM), რომელიც იმუშავებს მთელი პროექტის განმავლობაში.

¹⁷ კონსორციუმის ცალკეული მონაწილისათვის

8. 



MoLHSA-ს პროექტის მენეჯერი უზრუნველყოფს MoLHSA-ს შიდა ამოცანების გადაწყვეტას და საჭირო კოორდინაციას

პროექტის მენეჯმენტის წარმადგენლები, მათ შორის კონსორციუმის ყველა წევრი ორგანიზაციიდან, ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტის ინიცირების ფაზაში. კერძოდ: MoLHSA, EMC, Laserbiomed, 6PM და Mokipay

დაშვებები

სამუშაო პაკეტებში დეტალურად მოცემული ყველა დაშვება არის მუდმივი და კუმულაციური მათი გამოყენებისას (ანუ მათი შესრულება ხდება მუდმივად და ცალკეული სამუშაო პაკეტის მიხედვით)

ყველა სამუშაო პაკეტის ხანგრძლივობები შესაძლოა გადაიხედოს თუ MoLHSA-ს მოთხოვნები გასცდა ამ სამუშაო პაკეტების დეტალებს; ამ სამუშაო პაკეტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს ცვლილებების მართვის პროცედურების გზით. MoLHSA-ს საჭიროებასთან მიმართებაში ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს შესაბამისი სამუშაოების წარმატებულ და დროულ შესრულებას, რათა არ შეიქმნას სიძნელებები და შეფერხებები პროექტით დაგეგმილი სამუშაოებისათვის.

EMC იქნება პასუხისმგებელი ვორქშოპების შედეგების დოკუმენტირებაზე.

ყველა შეთანხმებული სამუშაოები ექვემდებარება EMC-ის შიდა ხარისხის კონტროლის პროცედურებს, რომლებიც განხორციელდება EMC-ის Enterprise Content Management (ECM) Project Delivery Methodology (EPDM)¹⁸-ის შესაბამისად. პროექტის გეგმის, კონცეფციების და სპეციფიკაციების განხილვა, სტატუს-რეპორტები და პრობლემების/რისკების რეგისტრაცია წარმოადგენს EMC-ის შიდა ხარისხის კონტროლის აქტივობებს.

პროექტის მენეჯერი MoLHSA-ს მხრიდან არის სრული პროექტის დირექტორი; EMC-ის აქვს სრული პასუხისმგებლობა პროექტის მართვასთან დაკავშირებით

პროექტის მენეჯერი EMC-ის მხრიდან არის პასუხისმგებელი EMC-ის და კონსორციუმის წევრების/სუბკონტრაქტორების რესურსების მობილიზაციაზე, იმისათვის რომ შესრულდეს ამ SOW-ით განსაზღვრული სამუშაოები.

ყველა ვორქშოპი, დოკუმენტაცია (დაგეგმარება, მოთხოვნები, დიზაინი და სხვ.) და შესრულებული სამუშაოები (კოდი, სისტემები და სხვ) იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტის ინიცირების ფაზის ვორქშოპების გამართვა

პროექტის განაწესის შედგენა

¹⁸ EMC-ის პროექტების მართვის სტანდარტული მეთოდოლოგიები



პროექტის გეგმის შედგენა

პროექტის eRoom-ის შექმნა, სადაც მოხდება პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვა

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.2. EMC-ის სამუშაო პაკეტი 2 - ტექნიკური არქიტექტურის დიზაინი

„ტექნიკური არქიტექტურის“ ფაზა მოიცავს აქტივობებს, რომლების გულისხმობენ MoLHSA-ს ტექნიკური დიზაინის მოთხოვნების დოკუმენტირებას. ტექნიკური დიზაინის დოკუმენტის (TDD)¹⁹ ვერსია გამოყენებული იქნება MoLHSA-ს ტექნიკური გადაწყვეტის დიზაინის და მასთან დაკავშირებული სხვა კრიტერიუმების შესაჯამებლად.

ტექნიკური გადაწყვეტის დიზაინის ამოცანები, რომლებიც უნდა განისაზღვროს და შესრულდეს ამ SOW-ის მიზნებისათვის, მოიცავს:

განისაზღვროს MoLHSA-ს ტექნიკური დიზაინი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- განისაზღვროს Documentum HIP-ის დიზაინი (მოცულობების და პრე-ინსტალაციის მოთხოვნების ჩათვლით)
- wHospital-ის დიზაინის შემუშავება (მოცულობების და პრე-ინსტალაციის მოთხოვნების ჩათვლით)
- Mokipay-ის დიზაინის შემუშავება (მოცულობების და პრე-ინსტალაციის მოთხოვნების ჩათვლით)

წინაპირობები



- Laserbiomed-ისა და Mokipay-ის მიერ მოცულობების გათვლებთან და დიზაინთან დაკავშირებული სამუშაოები განეკუთვნება ამ სამუშაო პაკეტს. EMC განახორციელებს ამ აქტივობების მართვას და უზრუნველყოფას არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

დაშვებები

ტექნიკურ არქიტექტურაში სრულად იქნება გადაწყვეტილი ვირტუალიზაციით VMware²⁰-ის გამოყენებით.

¹⁹ Technical Design Document

²⁰ ვირტუალიზაციის სპეციალური პლატფორმა



მოსალოდნელი შედეგები

ტექნიკური არქიტექტურის დიზაინთან დაკავშირებული ვორქშოპების გამართვა

ტექნიკური არქიტექტურის დიზაინის დოკუმენტის განხილვასთან დაკავშირებული ვორქშოპების გამართვა

ტექნიკური არქიტექტურის დიზაინის დოკუმენტი წარდგენილი იქნება ქართული მხარის IT-ისათვის შესაბამისი შესყიდვის განხორციელებისათვის

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.3. EMC-ის სამუშაო პაკეტი 3 - EMC HIP²¹-ის ინსტალაცია

„პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის“ ფაზა მოიცავს Documentum Health Information Platform (HIP) ბაზისურ ინსტალაციას.

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის ამოცანები, რომლებიც უნდა განისაზღვროს და შესრულდეს EMC-ის მიერ ამ SOW-ის მიზნებისათვის, მოიცავს:

ქვემოთ ჩამოთვლილი ბაზისური გარემოების ინსტალაციას:

- ერთ-კვანძიანი დეველოპმენტის გარემო
- ერთ-კვანძიანი სატესტო გარემო
- ორ-კვანძიანი საწარმოო გარემო

ინსტალაცია მოიცავს Documentum HIP-ის ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს²²:

- Documentum Content Server
- Documentum Administrator
- Documentum WebTop
- Documentum Developer Studio on a single Desktop PC
- Documentum XDB
- Retention Policy Services
- XDS Registry components
- XDS Repository components
- XDS Services components

წინაპირობები

²¹ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა EMC Documentum Health Information Platform (HIP)

²² ჩამონათვალი მოცემულია სპეციფიკური პროგრამული პროდუქტები, რომელთა თარგმანი ამ შემთხვევაში არ არის რელევანტური



იმისათვის რომ EMC-იმ შეასრულოს შესაბამისი ინსტალაცია, MoLHSA პასუხისმგებელია უზრუნველყოს ბაზისური ინფრასტრუქტურის ინსტალაცია და გამართვა (გარდა Documentum-ის კომპონენტების ინსტალაციისა) EMC-ის მიერ ტექნიკური დიზაინის ფაზაში მიწოდებული პრე-ინსტალაციის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

Hardware-ის ყველა კომპონენტს და პრე-ინსტალაციის პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა ჰქონდეთ თითოეულთან გამოყენებადი შესაბამისი ე.წ. Patch-ები და Fix ²³ -ები. ასევე უნდა იყვნენ დაკავშირებული შესაბამის ქსელთან/ინტერნეტთან EMC-ის მიერ მოწოდებული პრე-ინსტალაციის მოთხოვნების შესაბამისად.

MoLHSA-მ უნდა უზრუნველყოს VMware-ის ბაზისური არქიტექტურა, რაც უნდა იყოს საფუძველი დეველოპმენტის, სატესტო და საწარმოო გარემოებისათვის (სერვერების და მინიმალური კონფიგურაციის დეტალები განსაზღვრული იქნება ტექნიკური დიზაინის ფაზაში). EMC-ის რესურსებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ყველა შესაბამის სერვერთან, კლიენტთან და ა.შ. წვდომასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული იქნება უშუალოდ რესურსისათვის, ან შეყვანილი იქნება უშუალოდ MoLHSA-ს პერსონალის მიერ.

დაშვებები

MoLHSA-ს საოპერაციო სისტემების (OS), ქსელების, რელაციური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების (RDBMS)²⁴, მონაცემთა საცავების ქსელის (SAN)²⁵, სარეზერვო კოპირების/აღდგენის ²⁶ სპეციალისტები უნდა იყვნენ ხელმისაწვდომი Documentum-ის ინსტალაციის პროცესში, რათა უზრუნველყონ ტექნიკური იმპლემენტაცია მათი კომპეტენციის არეების მიხედვით.

საოპერაციო სისტემების, ქსელების, RDBMS-ის, SAN-ის, სარეზერვო კოპირების/აღდგენის სისტემების ინსტალაცია და/ან კონფიგურაცია უნდა წარიმართოს და განხორციელდეს თითოეული მათგანის შესაბამისი მწარმოებლის მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით, ასევე MoLHSA-ს შიდა პოლიტიკის, პროტოკოლების და შეზღუდვების გათვალისწინებით. EMC უზრუნველყოფს შესაბამის სახელმძღვანელოს MoLHSA-ს მიერ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.

EMC უზრუნველყოფს მხოლოდ რეკომენდაციებს MoLHSA-ს ტექნიკური გუნდის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში, მოქმედებების საბოლოო ფორმატი განისაზღვრება MoLHSA-ს მიერ.

იგულისხმება, რომ გამოყენებული Windows-ს ან UNIX-ის საოპერაციო სისტემები და SQL Server-ის ან Oracle RDBMS-ის პროგრამული უზრუნველყოფები (ინსტალაცია

²³ Patch-ი იგივეა, რაც Update-ი, მაგ. MS-Windows-ს საოპერაციო სისტემის ავტომატურად Update-ები. Fix-ი იგივეა, რაც Bag-Fixing - ხარვეზების აღმოფხვრა. თავის მხრივ Patch-იც გარკვეულწილად Bag-Fixing-ია, ოღონდ სისტემის გაუმჯობესების, ოპტიმიზაციის ან უსაფრთხოების კუთხით, რომელიც ბიზნეს-ფუნქციონალთან პირდაპირ კავშირში არ არის

²⁴ Relational Database Management System

²⁵ Storage Area Network

²⁶ Backup/Recovery

MoLHSA-ს მიერ) წარმოადგენენ ვერსიებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება Documentum-ის გამოყენებასთან. ასევე იგულისხმება, რომ Oracle Application Server-ის, Apache Tomcat-ის, BEA WebLogic-ის ან სხვა გამოყენებული Application Server-ები შესაბამისობაში იქნება EMC Documentum-თან.

MoLHSA Hardware-ის (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: სერვერების, ქსელები, გადამრთველები²⁷, მონაცემთა საცავები, პერსონალური კომპიუტერები და სხვ) შესყიდვისას ხელმძღვანელობს EMC-ის მიერ რეკომენდირებული და MoLHSA-ს მიერ შეთანხმებული და დადასტურებული პარამეტრებით.

MoLHSA-ს SAN-ის სიტემის, სერვერების და Workstation-ების მყარ დისკებს ექნებათ საკმარისი სივრცე ან უზრუნველყოფილი იქნება სარეზერვო კოპირების/აღდგენის შესაბამისი პროცედურებით.

MoLHSA უზრუნველყოფს უსაფრთხო დისტანციური კავშირის შესაძლებლობას EMC-ის კონსულტანტებისათვის, შესაძლო ინსტალაციის/კონფიგურაციის დისტანციურად განხორციელების განსახორციელებლად.

მომხმარებელთა აუტენტიფიკაცია მოხდება Microsoft Windows Active Directory (AD)-ის ან Light-Weight Directory Access Protocol (LDAP) Authentication-ის, ან Documentum-stored End-User "Inline Accounts"-ის მეშვეობით (მოცემული SOW არ შეიცავს რაიმე მოთხოვნებს აუტენტიფიკაციასთან დაკავშირებით)

მოსალოდნელი შედეგები

Documentum-ის ერთ-კვანძიანი დეველოპმენტის გარემოს ბაზისური ინსტალაცია

Documentum-ის ერთ-კვანძიანი სატესტო გარემოს ბაზისური ინსტალაცია


Documentum-ის ორ-კვანძიანი საწრმოო გარემოს ბაზისური ინსტალაცია

Documentum Healthcare Information Platform (HIP)-ის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის დოკუმენტაცია

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

²⁷ Switches



3.5. EMC-ის სამუშაო პაკეტი 4 - EMC HIP-ის ტრენერების ტრენინგი

„EMC-ის ტრენერების ტრენინგის (ToT)“ ფაზა მოიცავს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ToT-ტიპის ტრენინგის მომზადებასა და ჩატარებას MoLHSA-ს ტრენერებისათვის, რომლებიც შესაბამისად უზრუნველყოფენ სისტემის მომხმარებელთა სრული მასივის ტრენინგს. ეს საკითხი არის სპეციფიური Georgia EMR-ის EMC-ის კომპონენტებისათვის, რადგანაც შემოიფარგლება Documentum HIP-ის იმ კომპონენტებით, რომლებიც იქნება კონფიგურირებული.

ტრენინგების ამოცანები, რომლებიც უნდა განისაზღვროს და შესრულდეს ამ SOW-ის მიზნებისათვის, მოიცავს:

Documentum-ის ToT-ის სწავლების სლაიდებისა და „სწრაფი მინიშნების“²⁸ სახელმძღვანელოების მომზადება და MoLHSA-ს IT-სამსახურისათვის მიწოდება.

სპეციფიური ადგილზე მორგებული ტრენინგები, რომლებიც მოიცავენ EMC HIP-ის ყველა მთავარ თვისებებსა და ფუნქციებს, განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით Documentum-ის საფუძვლებზე და ადმინისტრირებაზე (5 დღე)

Documentum-ის ToT-ის ერთი სეანსი განხორციელდება MoLHSA-ს IT-სამსახურისათვის (ზუსტი დღეები განისაზღვრება მოგვიანებით). ტრენინგებთან დაკავშირებული აქტივობების კოორდინაციას უზრუნველყოფს 6PM.

EMC პასუხისმგებელია იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სრული და საკმარისად ყოვლისმომცველი ტრენინგები, იმისათვის რომ შესაბამისმა მონაწილეებმა მიიღონ საჭირო ცოდნა და კომპეტენცია, რათა მათ შეძლონ სისტემის მომხმარებელთა ტრენინგი. და ასევე პასუხისმგებელი იმაზე, რომ აღნიშნული ტრენინგები ეყრდნობა ნათლად გაწერილ და სრულყოფილ დოკუმენტაციას (იმ პირობით, რომ MoLHSA იღებს პასუხისმგებლობას ტრენინგის მონაწილე პერსონალის შესაბამის კომპეტენციასთან დაკავშირებით). EMC ვერ იქნება პასუხისმგებელი იმ პირთა შესაძლებლობებზე, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც სისტემის საბოლოო მომხმარებელთა ტრენერები. EMC თანახმაა განახორციელოს სრული ტრენინგი ყველა მონაწილისათვის, რომლებიც განისაზღვრება MoLHSA-ს მიერ. დამატებით, EMC-ის შეუძლია განახორციელოს თითოეული ტრენერის შეფასება, რათა დარწმუნდეს რომ მონაწილის მიერ ტრენინგის შინაარსი სრულად იქნა აღქმული და მას შეუძლია უზრუნველყოს სისტემის მომხმარებელთა მომზადება.

წინაპირობები

ტრენინგების გარემო და ლოგისტიკა (მაგ: სახელმძღვანელოების ბეჭდვა, ოთახები, კომპიუტერები, მომხმარებლების შერჩევა, MoLHSA-ს ტრენერების შერჩევა და სხვ) ორგანიზებული და გატესტილი (საჭიროების შემთხვევაში) უნდა იქნას MoLHSA-ს მიერ თითოეული ტრენინგის დაგეგმვის წინ.

MoLHSA-ს ტექნიკური პერსონალი უნდა დაესწროს EMC-ის ფორმალური სერვისების სწავლების მინიმალურ დონეს, რომელსაც მოიცავს Documentum-ის

²⁸ quick reference

ტექნიკური ტრენინგის კურსი (როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული და გათვალისწინებულია ამ SOW-ის)

დაშვებები

ტრენინგების უკუკავშირთან (ან მოცემულ SOW-ში აღწერილი სამუშაოების რომელიმე ასპექტთან) დაკავშირებული ცვლილებების დაგეგმვა, შეფასება და გადაწყვეტა განიხილება MoLHSA-ს მიერ. EMC-ის მიერ/მხარდაჭერით განხორციელებული ტრენინგების უნდა დაესწროს არაუმეტეს 10 MoLHSA-ს თანამშრომელი.

MoLHSA-ს ტრენინგები უზრუნველყოფენ სისტემის ყველა საბოლოო მომხმარებლის ტრენინგს; სისტემის საბოლოო მომხმარებელთა ტრენინგთან დაკავშირებით დამატებითი დახმარების საკითხი განიხილება ცვლილებების მართვის პროცედურების გზით.

განხორციელება მხოლოდ Documentum-თან დაკავშირებული ToT-ტიპის სწავლება; მათში არ შევა Documentum-ის ტექნიკურ ტრენინგთან დაკავშირებული EMC-ის სხვა დამატებითი სასწავლო სერვისები. MoLHSA-ს შეუძლია მოითხოვოს ToT-ისათვის მომზადებული სლაიდებისა და სახელმძღვანელოების შეცვლა, იმისათვის რომ იყოს უფრო მეტად მორგებული მომხმარებელზე ან მისი საჭიროებებზე. MoLHSA-ს მიერ მოთხოვნის შესაბამისად EMC-ი უზრუნველყოფს ყველას საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას ამ საკითხთან მიმართებაში.

მოსალოდნელი შედეგები

ToT-სთვის მომზადებული სლაიდები და სახელმძღვანელოები

Documentum-თან დაკავშირებული ToT-ის განხორციელება

სპეციალიზებული EMC HIP Documentum-ის ტესტირის და მომხმარებელთა საპილოტე სესიების განხორციელება

3.7. EMC-ის სამუშაო პაკეტი 5 - პროგრამის მიმდინარე მენეჯმენტი

„პროგრამის მიმდინარე მენეჯმენტის“ ეს სამუშაო პაკეტი უზრალოდ აფიქსირებს პროექტის მიმდინარე მენეჯმენტის ფაქტებს და არ არის მოსალოდნელი გასცდეს იმას, რაც უკვე მოცულია სხვა ცალკეული ინდივიდუალური სამუშაო პაკეტებით.

წინაპირობები

არ ექვემდებარება შეესებას - შესაბამება ყველა სამუშაო პაკეტში მოცემულ წინაპირობებს

მოსაზრებები

ეს სამუშაო პაკეტი ძალაში შედის „პროექტის ინიცირების“ სამუშაო პაკეტის დასრულებისას და მოქმედებს მთლიანი პროექტის განმავლობაში, მის დასრულებამდე

8. 



მოსალოდნელი შედეგები

ყოველ კვირაში ორჯერ პროექტის სტატუსთან დაკავშირებით საუბარი MoLHSA-ს სტეიკჰოლდერებთან²⁹, რომელთა ვინაობაც განისაზღვრება პროექტის ინიცირების ფაზაში.

ყოველ კვირაში ორჯერ პროექტის სტატუსთან დაკავშირებული ანგარიშის მიწოდება ყველა ძირითადი სტეიკჰოლდერისათვის, რომელთა ვინაობაც განისაზღვრება პროექტის ინიცირების ფაზაში.

სტატუს რეპორტების ფორმატი წარმოდგენილია დანართი I-ში

3.8. 6PM-ის სამუშაო პაკეტი 1 - პროექტის ინიცირება და კონტროლი

პროგრამის სრული მენეჯმენტის კონტროლი განსაზღვრულია EMC-ის პირველ სამუშაო პაკეტში - „პროექტის ინიცირება“. „პროექტის ინიცირების და კონტროლის“ მოცემული სამუშაო პაკეტი განსაზღვრავს სხვა პარალელური სამუშაოების კონტროლს, დოკუმენტირებას, მიზნებს, მოლოდინებს, წარმატების კრიტერიუმებს და მონიტორინგის ინსტრუმენტებს.

პროექტის წარმართვის გამოიყენება Agile-მეთოდოლოგია, რომელიც აღწერილია დანართი-B-ში - 6PM-ის მომსახურების მიწოდების სტრატეგია, უზრუნველყოფს პროექტის წარმატებულ გახორციელებას. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოყენებული იქნება ყველა სამუშაო მიმართულებასთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის სრული მართვისა და ანგარიშების კონსოლიდაცია.

მეთოდოლოგია შეიცავს 7 ფაზას:

3. კონცეფცია

კონცეფციის ფაზის მიზნებია:

- განისაზღვროს მიზეზები იმისა, თუ რატომ ხორციელდება პროექტი. ეს შეიძლება იყოს პრობლემის გადაჭრა ან ბიზნესის შესაძლებლობების გამოყენება, ან ორივე ერთად
- მოხდეს აღნიშნული ბიზნესის პრობლემების/შესაძლებლობების დეტალური აღწერა
- განისაზღვროს საჭირო რესურსები ძირითადი როლების დასაკომპლექტებლად, რათა მოხდეს პროექტის წინსვლა
- სტეიკჰოლდერების ანალიზის წარმართვის გზით განისაზღვროს მათი ვინაობა, ვინც იქნება ჩართული პროექტში და საკონტაქტო ორგანიზაციის ფარგლებში

²⁹ შესაბამისი დაინტერესებული პირები

- მომდევნო ფაზის შესასრულებლად შეიქმნას გეგმა და მოხდეს მისი შეთანხმება, რათა დაგეგმულდეთ, რომ მაღალი დონის მენეჯმენტი კარგად არის ინფორმირებული ბიზნეს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

4. დეფინიცია

კონცეფციის ფაზის შედეგებზე დაყრდნობით, დეფინიციის ფაზის განმავლობაში სამუშაო გუნდი ჩაატარებს კვლევით სავარჯიშოებს. რათა განისაზღვროს პროექტის საფუძვლების ძირითადი კომპონენტები. მოცემული ფაზის მიზანია შემდეგი მიზნების მიღწევა:

- განისაზღვროს ბიზნეს-ამოცანები, რათა მოხდეს არსებული გამოწვევების გადაჭრა ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი ძალისხმევის პრინციპების საფუძველზე. ბიზნეს-ბენეფიტები უნდა იყოს გონივრული - კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, აქტუალური და ვადაში განსაზღვრული.
- განისაზღვროს და შეთანხმდეს ის ბიზნეს-ბენეფიტები, რომლებიც მიღებული ბიზნეს-ამოცანების შესრულების შემთხვევაში
- შეიქმნას ბიზნეს-Solution-ის (მოდელის) მინიმუმ ორო ვარიანტი, რათა ბიზნესს მიეცეს სასურველი ვარიანტის არჩევის საშუალება, იმისათვის რომ მოხდეს წინსვლა პროექტის მსვლელობაში

8 დაგეგმვა

მოცემული ფაზა მოთხოვს ორგვარ ძალისხმევას:

3. მაღალი დონის მენეჯმენტი უზრუნველყოფს გადაწყვეტილებას წინა ფაზებში წარმოდგენილ ბიზნეს-Solution-ებთან დაკავშირებით და მოხდება შეთავაზებულიდან ერთი-ერთი ბიზნეს-Solution-ის შერჩევა, რომელიც პროექტისათვის გახდება ბაზისური
4. პროცესი - დაგეგმვის ფაზის შედეგები, ზემოაღნიშნული შესაბამისად

დაგეგმვის ფაზის მთავარი მომენტი გულისხმობს იმას, რომ მოხდეს პროექტის რეზულტატების დანაწევრება (ერთმანეთისგან გამოცალკევება) და რეზულტატების საფეხურებრივად (ინკრემენტებად) მიწოდებების დაგეგმვა (მიზანი არის ის რომ ცალკეული ბიზნეს-ფუნქციონალების მიწოდება მოხდეს პროექტის მიმდინარეობისას, ნაცვლად პროექტის დასრულების ლოდინისა). ფოკუსირება მოხდება იმ ბიზნეს-მოთხოვნების განსაზღვრაზე, რომლებიც შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე უზრუნველყოფენ ბიზნეს-ბენეფიტების უდიდესი ნაწილის მოწოდებას (Agile-მეთოდოლოგია ითვალისწინებს 80/20 წესს, რაც გულისხმობს იმას, რომ ბიზნეს-ბენეფიტების 80%-ის მიწოდება ხდება წინასწარი ბიზნეს-მოთხოვნების 20%-ის საფუძველზე). ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ პროექტის ფარგლებში ხდებოდეს შეთანხმებული ბიზნეს-ამოცანებისა და ბენეფიტების შესრულება, რომლებსაც მოიცავს შერჩეული და მხარეებს შორის შეთანხმებული ბიზნეს-Solution.

8. 



მოცემული ფაზის მიზნებია:

6. ნათლად იქნას აღქმული ბიზნეს-მოთხოვნები (და ასევე ბიზნესის მამოძრავებელი ფაქტორები), რომლებიც არჩეული ბიზნეს-Solution-ით შემოიფარგლება.
 7. მოხდეს ბიზნეს-მოთხოვნების კლასიფიცირება პრიორიტეტის შემდეგი დონეების მიხედვით: „უნდა“, „სასურველია“, „შეიძლება“, „არ უნდა“³⁰, ისე რომ აქცენტი კეთდებოდეს პრიორიტეტის დონეზე „უნდა“.
 8. განისაზღვროს რამოდენიმე ეტაპი (ე.წ. ინკრემენტებად დაყოფა, საფეხურებრივი განვითარება), რომელთა შესრულება პროექტის ფარგლებში დაგეგმილი
 9. შეიქმნას პირველი ინკრემენტის პროტოტიპის მიწოდების გეგმის მონახაზი
 10. შეიქმნას ტექნიკური არქიტექტურის აღწერილობა
- 9 ფუნქციონალური გადაწყვეტის იტერაცია ³¹ - სწორი Solution-ის შექმნა (იტერაციული)

ფუნქციონალური გადაწყვეტის იტერაციების (FSI)³² მიზანია დაიწყოს დეფინიციის ფაზის დასრულებისას შერჩეული ბიზნეს-Solution-ის მიწოდების პროცესი და მოხდეს მიწოდების გადანაწილება დაგეგმვის ფაზაში განსაზღვრული ეტაპების მიხედვით. ეს ფაზა გულისხმობს „სწორი Solution-ის შენებას“.


სწორი Solution არ მოიცავს მხოლოდ ავტომატიზებულ ბიზნეს-პროცედურებს, რომლებიც დაყოფილია ფუნქციონალური და არა-ფუნქციონალური მოთხოვნების მიხედვით, არამედ მოიცავს ასევე ცვლილებების შესაძლებლობას, რომლებსაც მოითხოვს რეალური გარემო, და რაც უზრუნველყოფს ავტომატიზებული პროცედურების მყარ საფუძველს.

ამ ფაზის ფარგლების უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელზეც წარმოდგენილია საზღვრები მოცემულ და მომდევნო ფაზებს შორის


³⁰ ე.წ. MoSCoW მეთოდოლოგია, Must, Should, Could and Would not

³¹ Agile-მეთოდოლოგიაში სპეციფიური ციკლები, რომლებიც გულისხმობს უკვე განსაზღვრულ ამოცანაზე დაბრუნებას მისი სრულყოფის და სასურველ შედეგთან მიახლოების მიზნით

³² Functional Solution Iteration

8. 





ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული ფაზის მიზნებია:

7. შეიქმნას ბაზისური (ძირითადი) ინკრემენტის დეველოპმენტის სტრატეგია, რათა დაგროვდეს, რომ მივდივართ სწორი მიმართულებით და მიღებულია ადრეული ბიზნეს-ბენეფიტები.
8. ბაზისური ინკრემენტის გეგმა დაიყოს ქვე-გეგმებად (ე.წ. Timebox), ისე რომ უპირველესად შესრულებული იქნას მოთხოვნები, რომელთა პრიორიტეტის დონეა „უნდა“.
9. განხორციელდეს Timebox-ების შესრულების შეფასებები ქვემოდან-ზემოთ პრინციპით და მოხდეს მათი შედარება ზემოაღნიშნულ ტიპის შეფასებებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას ვადებთან დაკავშირებული რისკების დაუყოვნებლივი მართვა.
10. შეიქმნას და შეთანხმდეს მიმდინარე ინკრემენტის იმპლემენტაციის გეგმა, მთლიანი პროექტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
11. შეიქმნას რისკების რეგისტრი და დაიწყოს მათი ეფექტური მართვა.
12. შეიქმნას და შეთანხმდეს სისტემის მხარდაჭერისა და მომსახურების სტრატეგია, დაიგეგმოს თუ როდის მოხდეს ცალკეული ინკრემენტის გაშვება რეალურ გარემოში

10 ბიზნეს-Solution-ის შენების იტერაციები - ბიზნეს-Solution-ის შენება არის სწორი (იტერაციული)

ბიზნეს-Solution-ის შენების იტერაციები (BSI)³³ ცნობილია როგორც "Solution-ის შენება არის სწორი". ბიზნეს-Solution არის "სწორი", თუ მას გააჩნიათ შემდეგი მახასიათებლები:

5. უზრუნველყოფს მოსალოდნელ ბიზნეს-ბენეფიტებს
6. მას შეუძლია თავსებადია შესაბამის ბიზნეს-პროცესთან
7. არის გაფართოებადი
8. ფუნქციონირებს წარმადობის შეთანხმებულ დონეზე

³³ Build Solution Iteration

8.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს-Solution-ის აგების იტერაციების ფაზა წარმოადგენს ფუნქციონალური Solution-ის იტერაციების ფაზის გაგრძელებას, მოცემულ ეტაპზე მთავარი ყურადღება ეთმობა იმის უზრუნველყოფას, რომ სისტემა იყოს სანდო, სათანადოდ გატესტილი და შეესაბამებოდეს ამ SOW-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბიზნეს-Solution უზრუნველყოფს სასურველ ბიზნეს-ბენეფიტებს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული ფაზის მიზნებია:

4. არა-ფუნქციონალური მოთხოვნების დაფიქსირება და მოთხოვნების პრიორიტიზების განახლება
5. კონკრეტული ინკრემენტის იმპლემენტაციის გეგმის განხილვა და საჭირო ცვლილებების განხორციელება
6. სისტემის მხარდაჭერისა და მომსახურების სტრატეგიის განვითარება, და ასევე სისტემის მხარდაჭერის და მომსახურების ფუნქციების გადაცემის გეგმის შექმნა

11 Deployment-ის (განხორციელების, დანერგვის, გაშვების) იტერაციების ფაზა (იტერაციული)

Deployment-ის იტერაციების ფაზა ითვალისწინებს ახლად შემუშავებული ბიზნეს-Solution-ის განთავსებას რეალურ გარემოში, რის შედეგადაც დაიწყება შეთანხმებული ბიზნეს-ბენეფიტების მიღება. აღნიშნული ბენეფიტების მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ:

3. თუ ბიზნეს-Solution სათანადოდ არის დანერგილი
4. მომხმარებლები სარგებლობენ აღნიშნული ბიზნეს-Solution-ით

გარდა ამისა, ეს არის ფაზა, როდესაც სამუშაო გუნდების უმრავლესობა დაიშლება რესურსების სხვა პროექტებზე გადანაწილებისათვის. 6PM-ის მიდგომებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია, რომ რესურსები შენარჩუნებული იქნას ძირითად როლებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას Deployment-ის იტერაციების ფაზის წარმატებული განხორციელება. ეს როლებია:

9. პროექტის სპონსორი
10. ბიზნესის ხედვები
11. ტექნიკური ხედვები
12. პროექტის მენეჯერი
13. ერთი უფროსი დეველოპერი
14. მომხმარებელთა წარმომადგენელი
15. სისტემის მხარდაჭერის და მომსახურების სპეციალისტი
16. ოპერაციების სპეციალისტი




Deployment-ის იტერაციების ფაზა ითვალისწინებს შემდეგ მიზნებს:

5. განხორციელდეს მომხმარებელთა მიერ სისტემის ტესტირება (UAT)³⁴ და გაიცეს თანხმობა ბიზნეს-Solution-ის რეალურ გარემოში გაშვებისათვის
6. დაიგეგმოს და განხორციელდეს საჭირო ტრენინგები, რათა უზრუნველყოფილი იქნას რეალურ გარემოში განთავსებული ბიზნეს-Solution-ის ოპერირება და მხარდაჭერა
7. ავტომატიზებული პროცედურების ინსტალაცია, რომლებიც შეადგენენ ფუნქციონალურ და არა-ფუნქციონალურ მოთხოვნებს, ასევე ავტომატიზაციის შესაბამისი ბიზნეს-პროცესების იმპლემენტაცია, რაც შესაძლებელს გახდის არჩეული ბიზნეს-Solution-ის რეალიზებას
8. განხილული იქნას, თუ რა არის მიღწეული დღემდე ბიზნესის მიერ ახლად დანერგილი ბიზნეს-Solution-ის შემდეგ და მოხდეს დადგენა, გაგრძელდეს თუა არა ბიზნეს-Solution-ის ინვესტირება

12 სისტემის მხარდაჭერა და მომსახურება

მოცემულ დიაგრამაზე ერთიანდება ყველა ზემოაღნიშნული ფაზა:



პირველი 3 ფაზა წარმართება ვორქშოპების გზით, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროექტის ინიცირება და შესაბამისი სტეიკჰოლდერების განსაზღვრა, ასევე კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია პროექტის ეფექტური მართვისათვის.

წინაპირობები

სამუშაო პაკეტებში დეტალურად მოცემული ყველა წინაპირობა არის მუდმივი და კუმულაციური მათი გამოყენებისას (ანუ მათი შესრულება ხდება მუდმივად და ცალკეული სამუშაო პაკეტის მიხედვით)

MoLHSA უზრუნველყოფს შესაბამისი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე

³⁴ User Acceptance Testing

8.

ვორქშოპებზე შესაბამისი პერსონალის დასწრებას, რომლებიც გონივრულ ვადებში უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებებს ცალკეული სამუშაო პაკეტის შესაბამის ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებით ან წარმოდგენენ ტექნიკური ან/და ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებულ შესაბამის პასუხებს.

MoLHSA-ს პროექტის მენეჯერი უზრუნველყოფს MoLHSA-ს შიდა ამოცანების გადაწყვეტას და საჭირო კოორდინაციას

პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლები, მათ შორის კონსორციუმის ყველა წევრი ორგანიზაციიდან, ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტის ინიცირების ფაზაში. კერძოდ: MoLHSA, EMC, Laserbiomed, 6PM და Mokipay

დაშვებები

სამუშაო პაკეტებში დეტალურად მოცემული ყველა დაშვება არის მუდმივი და კუმულაციური მათი გამოყენებისას (ანუ მათი შესრულება ხდება მუდმივად და ცალკეული სამუშაო პაკეტის მიხედვით)

ყველა სამუშაო პაკეტის ხანგრძლივობები შესაძლოა გადაიხედოს თუ MoLHSA-ს მოთხოვნები გასცდა ამ სამუშაო პაკეტების დეტალებს; ამ სამუშაო პაკეტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს ცვლილებების მართვის პროცედურების გზით.

MoLHSA-ს საჭიროებასთან მიმართებაში ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს შესაბამისი სამუშაოების წარმატებულ და დროულ შესრულებას, რათა არ შეიქმნას სიძნელები და შეფერხებები პროექტით დაგეგმილი სამუშაოებისათვის.

EMC და/ან მისი სუბკონტრაქტორები იქნებიან პასუხისმგებელი ვორქშოპების შედეგების დოკუმენტირებაზე.


ყველა ვორქშოპი, დოკუმენტაცია (დაგეგმარება, მოთხოვნები, დიზაინი და სხვ.) და შესრულებული სამუშაოები (კოდი, სისტემები და სხვ) იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

მოსალოდნელი შედეგები

კონცეფციის, დეზინიციის და დაგეგმვის ფაზების ვორქშოპების ჩატარება.

კონცეფციის ფაზის ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს მთლიანი პროექტის საზღვრებს

ჩატარებული კვლევის ანგარიში - აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ბიზნესის ამოცანების დანახვას მონეტარული გათვლების, ბიზნესის ღირებულების და ხელშესახები ბიზნეს-ბენეფიტების განსაზღვრის გზით, აგრეთვე წარმოდგენილი იქნება არანაკლებ ორი ბიზნეს-Solution-ის ვარიანტი, თუ როგორ შეძლებს ბიზნესი პროექტის ამოცანების გადაჭრას. მაღალი დონის მენეჯმენტისათვის ასევე წარდგენილი იქნება ექსპერტთა რეკომენდაციები.



ჩატარებული კვლევის პროტოტიპი - ჯერჯერობით აღნიშნული სამუშაოს შესრულება არ არის სავალდებულო, თუმცა ასეთი პროტოტიპების არსებობა შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევებში გახდეს საჭირო ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი ერთი ან რამდენიმე ბიზნეს-Solution-ის უკეთ წარმოსადგენად. მათი დახმარებით შესაძლებელია ვიზუალური დემონსტრაცია იმისა, თუ რა იქნება რეალურად არსებული რეკომენდაციების შესრულების შედეგად.

პროექტის მართვის გეგმა - ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს საერთოს სურათს იმისა, რომ სამუშაო გუნდის ყველა წევრს სწორად აქვს აღქმული პროექტის მართვის პარამეტრები. დოკუმენტში იქნება დეტალურად აღწერილი პროექტის ფარგლებში არსებული როლები პასუხისმგებლობები, აგრეთვე პროექტის მართვის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები.

საკომუნიკაციო გეგმა - აღნიშნული ამოცანა გულისხმობს პროექტის აუდიენციის განსაზღვრას, პროექტის ძირითადი მესიჯების ფორმირებას, აგრეთვე როდის და ვისთვის უნდა იქნას მიწოდებული აღნიშნული მესიჯები, განისაზღვრება ასევე კომუნიკაციის მეთოდები. ამ დოკუმენტის მიზანია მოახდინოს ყველა იმ სამუშაოს კონსოლიდაცია, რომლებიც გულისხმობენ რაციონალური და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვას მთელი პროექტის განმავლობაში.

ბიზნეს-Solution-ის დეფინიცია - აღნიშნული დოკუმენტი თავიდან ბოლომდე აღწერას შერჩეულ ბიზნეს-Solution-ს, მასში მოცემული იქნება სისტემის კონცეპტუალური მოდელი და სისტემის მთლიანი ხედვა გამოხატული მცირე ეფექტური ფრაგმენტებით, რომელთა შევსება მოხდება ცალკეული იტერაციების და ინკრემენტების შესრულების შედეგად. იგი ასევე წარმოადგენს პროექტის შესრულებადობის შეფასებას 6PM-ის სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით

მოთხოვნების პრიორიტეტების კატალოგი - წარმოდგენილია ყველა ბიზნეს-მოთხოვნა (ამოცანა) შესაბამის ბიზნეს-ბენეფიტებთან კავშირით. იგი ასევე შეიცავს მოკლე სახელმძღვანელოს იმისა, თუ რა ამოცანა იქნება შესრულებული ყოველ ცალკეული ინკრემენტის მიწოდებისას.

ინკრემენტის გეგმის მონახაზი - აღნიშნული დოკუმენტი არის შეთანხმება ბიზნეს-ამოცანებთან და ბიზნეს-ბენეფიტებთან დაკავშირებით, რომლებიც მიწოდებული იქნება დაგეგმილი ინკრემენტის დასრულების შედეგად. იგი ნათლად განსაზღვრავს მიმდინარე ინკრემენტის ფარგლებში შესასრულებელ ამოცანებს პრიორიტეტების მიხედვით, ეს დოკუმენტი პროექტის მთავრი გუნდისათვის არის აგრეთვე მყარი საფუძველი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს time-box-ების დაგეგმვა ქვემოდან-ზემოთ პრინციპით

ტექნიკური არქიტექტურის აღწერილობა - ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტექნიკური გარემოებთან დაკავშირებული მახასიათებლების კონსოლიდაციას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს იმას, რომ მთავარი სამუშაო ჯგუფი ყველა წევრს სწორედ ჰქონდეს გაგებული, თუ როგორია პროექტის სტანდარტები და როგორ უნდა მოხდეს მათი დანერგვა. შესაძლოა, რომ სისტემის ინტეგრაციის საკითხებიც ამ დოკუმენტშივე იქნას ჩართული.

8. 



ყოველი ამოცანა/შედეგი მიწოდებული იქნება დროულად, დეტალიზაციის და ხარისხის რაციონალური დონით

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.9. 6PM-ის სამუშაო პაკეტი 2 - პროექტის მიმდინარე მენეჯმენტი (PM & PSO)

„პროექტის მიმდინარე მენეჯმენტის“ მოცემული სამუშაო პაკეტი უზრუნველყოფს პროექტის იმ საკითხების მართვას, რომლებიც წინა სამუშაო პაკეტში იქნა აღწერილი. ეს არის ძირითადი როლი, რომელიც უზრუნველყოფს კოორდინაციას პროექტის მთავარ მენეჯმენტს, MoLHSA-ს პროექტის დირექტორსა და ცალკეული სამუშაო მიმართულებებს შორის.

წინაპირობები

არ ექვემდებარება შევსებას - შეესაბამება ყველა სამუშაო პაკეტში მოცემულ წინაპირობებს

მოსაზრებები

ეს სამუშაო პაკეტი ძალაში შედის „პროექტის ინიცირების“ სამუშაო პაკეტის დასრულებისას და მოქმედებს მთლიანი პროექტის განმავლობაში, მის დასრულებამდე

მოსალოდნელი მინიმალური შედეგები

ყოველკვირეული სტატუს-რეპორტი;

ფინანსური მენეჯმენტის ანგარიში;

რისკების რეგისტრი;


საკითხების (პრობლემების) რეგისტრი;

ცვლილებების რეგისტრი;

სამაგალითო ნიმუშები მოცემულია დანართი-1-ში

3.10. 6PM-ის სამუშაო პაკეტი 3 - ხარისხის მართვა

მთელი პროექტის განმავლობაში ხარისხის მართვას უზრუნველყოფს EMC, რაც ითვალისწინებს პროექტის ყოველდღიური დამაბული რეჟიმისგან დამოუკიდებლად რეგულარულად მიმდინარე კვალიფიცირებულ და ობიექტურ შეფასებებს. პროექტის მიმდინარეობის პერიოდული მიმოხილვის მიზნები მოიცავს:



პროექტის მიზნები შეესაბამება სტეიკჰოლდერების მოთხოვნებს;

დაცულია პროექტის სტანდარტების და პროცედურები

პროექტს გააჩნია საკმარისი რესურსები

პასუხისმგებლობები არის სათანადოდ განსაზღვრული და გათვითცნობიერებული

ბიზნეს-პროცესების ცვლილებები ეფექტურად არის მართული

გეგმა-გრაფიკის და ბიუჯეტის მოთხოვნები არი დაცული

ხარისხის მიმოხილვას EMC უზრუნველყოფს პროექტის ძირითადი ეტაპების შესაბამისად წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, რათა ერთის მხრივ უზრუნველყოფილი იქნას სისტემის დიზაინის სისრულე, მეორეს მხრივ კი მიღწეული იქნას პროექტის ამოცანების შესრულება და სასურველი ბენეფიტების მიღება. აღნიშნული მიმოხილვები უნდა განხორციელდეს მთავარ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების, პროექტის გუნდის შეხვედრებზე და სამუშაო სესიებზე დასწრების, აგრეთვე პროექტის გეგმის შესრულებისა და დოკუმენტაციის მკაცრი შეფასების გზით.

იმავედროულად ყურადღება დაეთმობა იმას, რომ უზრუნველყოფილი იქნას შემდეგი:

პროექტის მიზნები (ამოცანები) და ბენეფიტები განსაზღვრულია, მიღწევადია და გათვითცნობიერებულია

არ უნდა მოხდეს პროექტის გადახრა უკვე განსაზღვრული ამოცანებისგან

პროექტის პროცედურები და სტანდარტები ჩამოყალიბებულია, გავრცელებულია და გათვითცნობიერებულია

განსაზღვრულია პროექტის ორგანიზაციის საკითხები და უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსების ალოკაცია

პროექტის როლები და პასუხისმგებლობები ნათლად არის განსაზღვრული და გათვითცნობიერებულია

პროექტის გუნდის წევრები მუშაობა არის ეფექტური როგორც ერთიანი გუნდი

ხდება პროექტის პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა


ორგანიზაციული და ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებები ეფექტურად არის მართული

პროექტის გეგმებია არის რეალისტური, თანმიმდევრული და საკმარისად დეტალიზებული

გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტის მოთხოვნები დაცულია

ორივე, სისტემის და ბიზნეს-პროცესების ინტეგრაცია შესრულებული

8. 



სისტემის დიზაინი და ტესტირების პროცედურები არის საკმარისად მკაცრი

ტექნიკური ინფრასტრუქტურა არის ადექვატური

ჩამოყალიბებულია ფუნქციონირებადი საოპერაციო პროცედურები

ჩამოყალიბებულია მომხმარებელთა ტრენინგის შესრულებადი გეგმა და ხდება მისი შესრულება

ჩამოყალიბებულია Help-desk³⁵-ის ფუნქციონირებადი სტრუქტურა

EMC ვალდებულია დაუყონებლივ გაატაროს საჭირო ზომები ზემოხსენებულთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემის გამოსწორების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში აცნობოს (გააფრთხილოს) MoLHSA-ს აღნიშნულის თაობაზე.

წინაპირობები

EMC-ის ხარისხის მენეჯერი უნდა ესწრებოდეს სრულად პროექტის ინიცირების ფაზას და საჭიროებისამებრ უნდა ჰქონდეს კავშირი ყველა მიმწოდებელთან და MoLHSA-ს პერსონალთან, რათა უზრუნველყოს საჭირო ინტერვიუები და მიმოხილვები

მოსაზრებები

ეს სამუშაო პაკეტი ძალაში შედის „პროექტის ინიცირების“ სამუშაო პაკეტის დასრულებისას და მოქმედებს მთლიანი პროექტის განმავლობაში, მის დასრულებამდე


მოსალოდნელი მინიმალური შედეგები

ხარისხის გეგმა

ეს ნაწილი განსაზღვრავს მოსალოდნელ ხარისხის მოთხოვნებს, რომლებიც პროექტის მიერ უნდა იქნას მიღწეული, ასევე იმას თუ რა გზით უნდა იქნას აღნიშნული მოთხოვნები შესრულებული. დოკუმენტი ასევე მოიცავს ხარისხის მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა მოიცავდეს პროექტის ცალკეული რეზულტატი (პროდუქტი), იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სასურველი შედეგები. აღწერილია ასევე ხარისხის ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია პროცესებთან რომლებიც წარმართება პროექტის ფარგლებში სასურველი შედეგების მისაღწევად.

ამ დოკუმენტში არ არის მითითებული თუ უშუალოდ ვინ და როდის ასრულებს ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებს, ეს ინფორმაცია მოცემული იქნება პროექტის გეგმაში (და/ან პროექტის ცალკეული ეტაპების ან სამუშაო გუნდის გეგმაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

³⁵ დახმარების და მხარდაჭერის ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას მომხმარებლების მიერ სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით პრობლემების არსებობისას



იმის და მიხედვით თუ რა იქნება განსაზღვრული პროექტის ინიცირების ფაზაში, ეს დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

- პროექტის ფარგლებში ხარისხთან დაკავშირებული მოლოდინები
- კრიტერიუმები, რომლებიც დამაკმაყოფილებელია მიღება-ჩაბარებისას
- შესასრულებელი სამუშაოები (ამოცანები)
- სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესრულებული ამოცანები და მასთან დაკავშირებული პროცესები
- ხარისხთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები
- სამუშაოების (ამოცანების) შესრულებასთან დაკავშირებით გამოყენებული ხარისხის კონტროლისა და აუდიტი პროცედურები
- პროექტის მართვასთან დაკავშირებით გამოყენებული ხარისხის კონტროლისა და აუდიტი პროცედურები
- ცვლილებების მართვის პროცედურები
- დოკუმენტების მენეჯმენტის პროცედურები
- ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დამხმარე ინსტრუმენტები და მეთოდები

ანგარიშები გამონაკლისების (შენიშვნების) თაობაზე

პროექტის ნებისმიერ ეტაპზე 6PM გამოიყენებს შეცდომების და გამონაკლისების (შენიშვნების) რეპორტირების ონლაინ სისტემას, რაც გამონაკლისების (შენიშვნების) აღრიცხვის და მათზე თვალყურის დევნებას ითვალისწინებს.

მირება-ჩაბარება / დადასტურება

ხარისხის მართვის გეგმა უნდა დამტკიცდეს პროექტის მმართველი გუნდის და MoLHSA-ს და EMC-ს პროექტის მენეჯერების მიერ. უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა შენიშვნა და შესწორება ასეთის არსებობის შემთხვევაში და წარდგენილი იქნას ხელახლა დამტკიცებისათვის.

3.11. 6PM-ის სამუშაო პაკეტი 4 - ტრენინგების მართვა


EMC-ის ტრენინგის მენეჯერი იმუშავებს MoLHSA-ს ტრენინგის მენეჯერთან და ყველა შესაბამის პერსონალთან, აგრეთვე ყველა სუბკონტრაქტორთან ერთად, ToT-ის დაგეგმვისა და ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული ითვალისწინებს:

იდენტიფიცირებული ყველა შესაბამისი სატრენინგო კურსი

MoLHSA-ს პერსონალი აკმაყოფილებს ტრენინგის სესიებზე დასწრებისათვის საჭირო წინაპირობებს

უზრუნველყოფილია ტრენინგისათვის საჭირო გარემო და პირობები

წარმოდგენილ მასალებთან და სამუშაოს შესრულების გეგმასთან მიმართებაში ხარისხის მართვის უზრუნველყოფა, ტრენინგების დაწყების მართვა



პროგრეს-რეპორტების წარდგენა პროექტის მენეჯმენტისათვის.

EMC პასუხისმგებელია იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მუდმივად მაღალი ხარისხის ტრენინგები, რათა MoLHSA-ს შესაბამისი ტრენინგებისათვის შეიქმნას საკმარისი საფუძველი იმისა, რომ მათ შეეძლოთ შესაბამისი მესამე მხარისათვის ტრენინგის მიწოდება.

წინაპირობები

MoLHSA უზრუნველყოფს ტრენინგის მენეჯერის გამოყოფას

MoLHSA-ს ტრენინგებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მომხმარებელთა შემდგომი ტრენინგი, გააჩნიათ ტრენინგის შესაბამისი უნარები

შესაბამისი სატრენინგო გარემო-პირობები უზრუნველყოფილია

მოსაზრებები

ეს სამუშაო პაკეტი ძალაში შედის „პროექტის ინიცირების“ სამუშაო პაკეტის დასრულებისას და მოქმედებს მთლიანი პროექტის განმავლობაში, მის დასრულებამდე

ყველა სატრენინგო მასალა წარმოდგენილი იქნება ცალკეული ინდივიდუალური სამუშაო პაკეტის (WP) ფარგლებში, როგორც სამუშაო პაკეტის შესრულებული სამუშაოს ნაწილი.


მოსალოდნელი შედეგები

ტრენინგის გეგმა.

მოცემული დოკუმენტი აღწერს ტრენინგის ტიპსა და დონეს, რაც მომხმარებელთათვის არის საჭირო

მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული ნაწილი შესაძლებელია ფორმულირებული იქნას შემდეგნაირად:

5. ტრენინგისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვეთა - რა არის ის განსხვავებები, რაც ახასიათებს ახალ ბიზნეს-Solution-ს და აქტუალურია ტრენინგისათვის.
6. რას სახის ტრენინგები უნდა იქნას მიწოდებული
 - a. ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებით
 - b. ფუნქციონალურ / ოპერაციულ კომპონენტებთან დაკავშირებით
 - c. დარწმუნება იმაში, რომ მომხმარებლებს კარგად ესმით ის, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მიიღონ სასურველი ბიზნეს-ბენეფიტები
 - d. Hiding behind training, when in effect the business solution is being sold?



7. როგორ იწევა ტრენინგები?
 - a. ჩატარდება საკლასო ოთახებში?
 - b. იქნება ონლაინ გაკვეთილები?
 - c. საჭირო იქნება თუ არა ხალხის მოგზაურობა?
8. ტრენინგებისათვის რა მასალები იქნება გამოყენებული?

ზოგადი მიმოხილვა ამ სახით განსაზღვრავს თუ რას წარმოადგენს ტრენინგების ციკლების ძირითადი მახასიათებლები.

სატრენინგო მოდულები

თითოეული სატრენინგო მოდული მოიცავს:

- კურსის დასახელებას
- კურსის აღწერას
- კურსის მიზნებს (ამოცანებს)
- კურსის გეგმა-გრაფიკს
- ვინ უნდა დაესწროს კურსს?
- რა არის წინაპირობები?
- შესრულების ჩაბარების ფორმატი

მომხმარებლები

ვისი ტრენინგი უნდა მოხდეს? ვინ არიან მომხმარებლები? ამ საკითხების იდენტიფიცირებისას, ავტორმა უნდა ახსნას და აღწეროს თუ რატომ საჭიროებენ ეს ჯგუფები ტრენინგს და რა სახის ტრენინგი სჭირდებათ მათ

ტრენინგის გრაფიკი

ამ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ტრენინგის გეგმა, რომლის შესრულებითაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა შესაბამისი პირისათვის საჭირო ტრენინგის ჩატარება სისტემის რეალურ გაშვების თარიღამდე

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ტრენინგების გეგმა უნდა დამტკიცდეს პროექტის მმართველი გუნდის და MoLHSA-ს და EMC-ს პროექტის მენეჯერების მიერ. უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა შენიშვნა და შესწორება ასეთის არსებობის შემთხვევაში და წარდგენილი იქნას ხელახლა დამტკიცებისათვის.

3.12. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 1 – ვორქშოპები EMR-თან დაკავშირებით

დაგეგმილი ვორქშოპების ფარგლებში შემუშავებული, განხილული, შეთანხმებული და დოკუმენტირებული იქნება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ცენტრალური სისტემის (EMR) მთლიანი დიზაინი. wHospital (როგორც ქვემოთ 3.13 პუნქტშია აღწერილი) შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც შესაძლებელს ხდის მის დანერგვას სპეციფიური ნაციონალურ მოთხოვნების შესაბამის სხვადასხვა სახის მოდალობებში. MoLHSA განსაზღვრავს მონაცემების ყველა საჭირო სტანდარტსა და კოდს, როლების უნდა იქნას დანერგილი, საჭიროების

8. 



შემთხვევაში ამ საკითხთან დაკავშირებით EMC-ის დახმარების უზრუნველყოფა შესაძლებელია ცვლილებების მართვის პროცედურების გზით.

წინაპირობები

MoLHSA უზრუნველყოფს ვორკშოპებზე შესაბამისი პერსონალის დასწრებას, რომლებიც გონივრულ ვადებში უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებებს ცალკეული სამუშაო პაკეტის შესაბამის ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებით ან წარმომადგენელ ტექნიკური ან/და ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებულ შესაბამის პასუხებს. ვორკშოპები არის პროცესის მთავარი ნაწილი და მათი წარმატებული წარმართვისათვის აუცილებელია:

MoLHSA-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი სტეიკჰოლდერების დასწრება

მონაწილეები უფლებამოსილი არიან მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები შეთანხმებულ გეგმა-გრაფიკისა და უფლებამოსილებების ფარგლებში (შეთანხმებული უფლებამოსილებები, რის ფარგლებშიც ვორკშოპის მონაწილეები იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს);

სტეიკჰოლდერებად შესაძლებელია განიხილებოდეს შემდეგი პირები:

სამედიცინო სერვისის მიმწოდებელთა წარმომადგენლები

მთავრობის ოფიციალური სამედიცინო პირები

დეპარტამენტის წარმომადგენლები

დაშვებები


ქართული მხარის საჭიროებასთან მიმართებაში ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ისეთნაირად, რომ შეესაბამებოდეს შესაბამისი სამუშაოების წარმატებულ და დროულ შესრულებას, რათა არ შეიქმნას სიძნელები და შეფერხებები პროექტით დაგეგმილი სამუშაოებისათვის.

პროექტის გეგმა-გრაფიკი აღნიშნული ვორკშოპებისთვის ითვალისწინებს ორ თვეს. თუ აღნიშნული ფაზა გასცდება ორ თვეს ისეთი მიზეზით, რომელიც არ უკავშირდება EMC-ის ან/და მისი სუბკონტრაქტორების არაეფექტური მუშაობას, ვადების გადადებას ან სხვა მსგავს გადაცდომას, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია MoLHSA-სთან შეთანხმებით პროექტის მთლიანი გეგმა-გრაფიკის გადახედვა.

ყველა ვორკშოპი, დოკუმენტაცია (დაგეგმარება, მოთხოვნები, დიზაინი და სხვ.) და შესრულებული სამუშაოები (კოდი, სისტემები და სხვ) იქნება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

მოსალოდნელი შედეგები

დოკუმენტი-1: ფუნქციონალური და არა-ფუნქციონალური მოთხოვნები დაკავშირებული wHospital-ის სხვა სისტემებთან ინტეგრაციასთან, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს MoLHSA-სა და ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი მაღალი და რაციონალური ხარისხის სტანდარტებით.



დოკუმენტი-2: მინიმალური კლინიკური ინფორმაციის ჩამონათვალი (სტანდარტები) და შესაბამისი განმარტებები CDA³⁶-სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ეფუძნება მოქმედ ნაციონალურ კლასიფიკაციებსა და სტანდარტებს.

დოკუმენტი-3: HL7 მესიჯინგის³⁷ სპეციფიკაციები, ჯანდაცვის კორპორაციული საინფორმაციო სისტემების ინტეგრაციის (IHE)³⁸ პროცედურების იმპლემენტაციისათვის

დოკუმენტი-4: HL7 მესიჯინგის სპეციფიკაციები სამედიცინო სერვისის მიმწოდებელთათვის ცენტრალური EMR-ში არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამობის გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.13. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 2 – wHospital-ის პროგრამული

უზრუნველყოფის ინსტალაცია

„პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის“ ფაზა ითვალისწინებს wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის ინსტალაციას

დამატებით მასში ჩართული იქნება ინფორმაცია სისტემის ფუნქციონალთან დაკავშირებული სასწავლო სესიების შესახებ, რომლებიც ჩაუტარდებათ MoLHSA-ს IT-პერსონალს

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის სამუშაოები, რომლებიც შესრულებული იქნება Laserbiomed-ის მიერ, მოიცავს:

ქვემოთ ჩამოთვლილი ბაზისური გარემოების ინსტალაციას:

- ერთ-კვანძიანი დეველოპმენტის გარემო
- ერთ-კვანძიანი სატესტო გარემო
- ორ-კვანძიანი საწარმოო გარემო

ინსტალაცია მოიცავს wHospital-ის ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს³⁹:

- wHospital-ის პროგრამული სტრუქტურა


³⁶ Clinical Document Architecture, HL7-ის სპეციალური სტანდარტი

³⁷ ციფრული ინფორმაციის გაცვლის პროცედურა

³⁸ Integrating the Healthcare Enterprise

³⁹ ჩამონათვალი მოცემულია სპეციფიკური პროგრამული პროდუქტები, რომელთა თარგმანი ამ შემთხვევაში არ არის რელევანტური

8. 



- wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის მენეჯერი
- wHospital-ის ფარმაცევტული კომპონენტის მენეჯერი
- wHospital-ის HL7-ის ძრავი
- wHospital AlertEngineSentinel
- wHospital ActivityMonitor
- wHospital SuiteServiceBus
- wHospital Workbench

წინაპირობები

იმისათვის რომ Laserbiomed-მა შეასრულოს შესაბამისი ინსტალაცია, MoLHSA პასუხისმგებელია უზრუნველყოს ბაზისური ინფრასტრუქტურის ინსტალაცია და გამართვა (გარდა wHospital-ის კომპონენტების ინსტალაციისა) Laserbiomed-ის მიერ მიწოდებული პრე-ინსტალაციის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. MoLHSA-ს გონივრული მოთხოვნის შესაბამისად EMC უზრუნველყოფს ყველა საჭირო დახმარებას ამ საკითხებთან მიმართებაში, მაგ: არსებული საოპერაციო სისტემების და სხვა კომპონენტების შესაბამისობის დადგენა სისტემებთან, რომელთა დანერგვაც უნდა განხორციელდეს მოცემულ ფაზაში. Hardware-ის ყველა კომპონენტს და პრე-ინსტალაციის პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა ჰქონდეთ თითოეულთან გამოყენებადი შესაბამისი ე.წ. Patch-ები და Fix-ები. ასევე უნდა იყვნენ დაკავშირებული შესაბამისი ქსელთან/ინტერნეტთან Laserbiomed-ის მიერ ტექნიკური დიზაინის ფაზაში მოწოდებული პრე-ინსტალაციის მოთხოვნების შესაბამისად.

MoLHSA-მ უნდა უზრუნველყოს VMware-ის ბაზისური არქიტექტურა, რაც უნდა იყოს საფუძველი დეველოპმენტის, სატესტო და საწარმოო გარემოებისათვის (სერვერების და მინიმალური კონფიგურაციის დეტალები განსაზღვრული იქნება ტექნიკური დიზაინის ფაზაში). EMC-ის რესურსებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ყველა შესაბამის სერვერთან, კლიენტთან და ა.შ. წვდომასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული იქნება უშუალოდ რესურსისათვის, ან შეყვანილი იქნება უშუალოდ MoLHSA-ს პერსონალის მიერ.


MoLHSA უზრუნველყოფს ე.წ. „ვირტუალურ კავშირის კერძო ქსელს“ (VPN)⁴⁰, რათა უზრუნველყოფილი იქნას დისტანციური კავშირი ზემოხსენებულ სერვერებთან და კლიენტებთან. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინფორმაციის ჩამოტვირთვისათვის მინიმალური სიჩქარე (1მბ). აღნიშნულის მოთხოვნები გადახედვა საჭირო იქნება პირველი ფაზის დასრულების შემდეგ.

მოსალოდნელი შედეგები

wHospital-ის პროგრამული სტრუქტურა დაინსტალებული იქნება განსხვავებული ვარიანტი, მოხდება მათი პრე-კონფიგურაცია ლომბარდიის რეგიონის (იატლია) სერტიფიცირებული EMR-ის პარამეტრებზე დაყრდნობით.

მოწოდებული იქნება ადმინისტრირების სახელმძღვანელოები: “getting started”, “clinical form design” “wH framework” და “API Workbench”. ყველა სახელმძღვანელო

⁴⁰ Virtual Private Network

8. 



იქნება ინგლისურ ენაზე.

უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო კურსების სესიები wHospital-ის აკადემიური სერტიფიცირების შემდეგი დონეების შესაბამისად:

- Evangelist (1-ლი და მე-2 დონე): თითოეული დონისათვის 3 დღიანი დღეში 6 სთ ხანგრძლივობის გაკვეთილები
- დეველოპერი (1-ლი და მე-2 დონე): თითოეული დონისათვის 3 დღიანი დღეში 6 სთ ხანგრძლივობის გაკვეთილები
- საიტის ადმინისტრატორი: 1 დღიანი დღეში 6 სთ ხანგრძლივობის გაკვეთილები

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ფუნქციონალური ტესტის ჩასატარებლად MoLHSA-ს პერსონალისათვის ხელმისაწვდომი იქნება wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის სამი ვარიანტი. სახელმძღვანელოები მიწოდებული იქნება ტესტირების დაწყებამდე, რათა წინასწარ შემოწმებული იქნას MoLHSA მიერ.

ყოველი კურსის დასასრულს მოხდება თითოეული მონაწილის შეფასება სასწავლო კურსის საფინანსო ტესტირების გზით wHospital-ის ვარიანტის გამოყენებით

იმ შემთხვევაში თუ MoLHSA გამოავლენს აპლიკაციასთან დაკავშირებულ რაიმე ხარვეზებს და პრობლემებს, ან გონივრულად გაზრდის ამ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, Laserbiomed-ი ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.14. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 3 – wHospital-ის და EMC HIP-ის ინტეგრაცია

მოცემული სამუშაო პაკეტი ითვალისწინებს wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის ინტეგრაციას EMC Documentum-თან 2.5 ვერსიის HL7 მესიჯინგის სტანდარტების გამოყენებით. EMC უზრუნველყოფს Documentum-თან ინტეგრაციისათვის საჭირო სპეციალურ XDS⁴¹-ის დეველოპმენტს.

წინაპირობები

განისაზღვროს საჭირო XDS ITI ტრანზაქციები, რომელთა დანერგვა და ტესტირებაც უნდა განხორციელდეს:
http://www.ihe.net/Technical_Framework/upload/IHE_ITI_TF_Rev8-0_Vol1_FT_2011-08-19.pdf
 CT(ITI-1),PIX(ITI-8,ITI-3,ITI-9),XDS(ITI-8,ITI-18,ITI-41,ITI-42,ITI-43)

დაშვებები

ინტეგრაციის დეველოპმენტის სამუშაოები განხორციელდება იტალიაში, offsite-რეჟიმში

ტესტირებასთან დაკავშირებული აქტივობები ჩატარდება თბილისში

⁴¹ Cross enterprise document sharing

8. 



(onsite-რეჟიმში) დეველოპმენტის და სატესტო გარემოები გამოყენებით. დოკუმენტაცია და პროგრამული უზრუნველყოფის კოდი სრულად იქნება ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი.

მოსალოდნელი შედეგები

wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის განახლება ნატურალური ⁴² XDS-ინტეგრაციის ძრავის გამოყენებით. დანერგილი და კონფიგურირებული იქნება CT⁴³-ის, პაციენტის PIX⁴⁴-ის და XDS⁴⁵-ის ინტეგრაციის პროფილები, რაც კლინიკური ინფორმაციის wHospital-დან Documentumში შენახვას უზრუნველყოფს.

განხორციელდება ტესტირება ყოველი ცალკეული ტრანზაქციის შეფასებისათვის: CT(ITI-1), PIX(ITI-8,ITI-3,ITI-9),XDS(ITI-8,ITI-18,ITI-41,ITI-42,ITI-43).

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

უზრუნველყოფილი იქნება wHospital-ის წინა თავში (Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 2) აღწერილი ვარიანტის ინტეგრაცია Documentum-ის სისტემასთან (EMC-ის სამუშაო პაკეტი 2). MoLHSA-ს პერსონალი უზრუნველყოფს ინტეგრაციის ტესტირებას ყოველი ცალკეული საჭირო პროფილის მიხედვით.

ყველა ზემოთხსენებული შედეგისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში განხილვისა და დადასტურებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-თვის. თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.15. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 4 - wHospital EMR-ის ლოკალიზაცია და დეველოპმენტი

wHospital-ის პროგრამული სტრუქტურა მხარდაჭერილია მომხმარებლის მრავალ-ენოვანი გრაფიკული ინტერფეისით (GUI) ⁴⁶, რისი უზრუნველყოფაც თარგმნილი რესურს-ფაილების მეშვეობით ხდება, რომელთა გადათარგმნაც MoLHSA-ს მიერ განხორციელდება. wHospital-ის გრაფიკული ინტერფეისი გაუმჯობესებული იქნება ე.წ. ორმაგი მონიშვნის Tooltip⁴⁷-ების მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილი იქნას კლინიკური ფორმების დინამიურობა და help desk-თან წვდომა სხვადასხვა აღფრთხილების გამოყენებით. wHospital-ის მოხმარებისას აუტენტიფიკაცია და ციფრული ხელმოწერა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მოქალაქის ID-ბარათის მეშვეობით, აღნიშნული ფუნქციონალის ინტეგრირებას უზრუნველყოფს EMC.

⁴² იგულისხმება სპეციალურად ამ Solution-ისათვის შექმნილი XDS-ძრავი

⁴³ Consistent time

⁴⁴ Patient identification cross indexing

⁴⁵ Cross enterprise document sharing

⁴⁶ Graphical user interface

⁴⁷ მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის სპეციალური კომპონენტი

წინაპირობები

ვორქშოპები და სპეციფიკაციები

MoLHSA-ს პერსონალი დაეხმარება Laserbiomed-ს აპლიკაციის სათანადო თარგმანში, ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდება შესაბამისი რესურს-ფაილების თარგმნა (ქართულად).

დაშვებები

ინტეგრაციის დეველოპმენტის სამუშაოები განხორციელდება იტალიაში, offsite-რეჟიმში. MoLHSA უზრუნველყოფს რესურს-ფაილების თარგმნას.

საქართველოს მოქალაქის ID-ბარათის ინტეგრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამული უზრუნველყოფის კოდი სრულად იქნება ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი.

მოსალოდნელი შედეგები

თარგმნილი რესურს-ფაილები წარმოდგენილი იქნება ცხრილის სახით MS-Excel-ის ფორმატით, რამოდენიმე გვერდზე, ცხრილში მოცემული იქნება შემდეგი 4 სვეტი: უნიკალური იდენტიფიკატორი, აღწერილობა (ინგლისურად), MS-Word (ინგლისურად), MS-Word(ქართულად). აღნიშნული ფაილები ჩართული იქნება wHospital-ის პროგრამულ სტრუქტურაში, რისი საშუალებითაც მომავალში შესაძლებელი იქნება არსებული აპლიკაციის შემდგომი ვერსიების განახლება და გაუმჯობესება.

საჭიროებიდან გამომდინარე მუდმივად იქნება შესაძლებელი wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის განახლება (გაუმჯობესება) კლინიკური ფორმების ინგლისურიდან თარგმნის და შესაბამისი კონფიგურაციის გზით.

wHospital-ის პროგრამულ სტრუქტურაში აუტენტიფიკაციის და ციფრული ხელმოწერის უზრუნველყოფა მოხდება სპეციალური smart-card-ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც შერჩეული იქნება MoLHSA-ს მიერ.

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ზემოთხსენებული ყველა კომპონენტის ინსტალაცია უზრუნველყოფილი იქნება wHospital-ის თითოეულ ვარიანტისათვის. MoLHSA-ს პერსონალი განახორციელებს ფუნქციონალურ ტესტირებას.

თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

8. 

WAA

3.16. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 5 - ექიმის პორტალი (განსაზღვრა, შექმნა, ტესტირება, სწავლება)

Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 5 - ექიმის პორტალი, წარმოადგენს ცენტრალური EMR-ის გაფართოებას. იგი მოიცავს ცენტრალური EMR-ის ყველა იმ ფორმას, რომელიც განისაზღვრება EMR-თან დაკავშირებული ფორქშოპების შედეგად, EMC-ის მიერ მოხდება მათი გაფართოება ზოგადი პროფილის ექიმის ფუნქციონალის სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორცაა დანიშნულების მართვა, დღის განრიგი და ა.შ.

წინაპირობები

ფორქშოპები და სპეციფიკაციები

დაშვებები

wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის დეველოპმენტის სამუშაოები განხორციელდება იტალიაში, offsite-რეჟიმში.

MoLHSA უზრუნველყოფს რესურს-ფაილების თარგმნას.

მოსალოდნელი შედეგები

ზოგადი პროფილის ექიმის პორტალის კონფიგურაციის განხორციელება დეველოპმენტის, სატესტო და საწარმოო გარემოებში. სამედიცინო პროცედურების ჯგუფები ყოველი ცალკეული ამბულატორიისათვის კოდირებული იქნება wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის კოდირების სპეციალური ინსტრუმენტის გამოყენებით. ყოველი ამბულატორია, ყოველ ცალკეული შემთხვევის დროს, თითოეული ექიმისათვის ცალკე სივრცის (ოთახის) სახით იქნება წარმოდგენილი. ყოველი ამბულატორიას ექნება თავის დღის განრიგი, რომელშიც მიღების დროის შუალედების კონფიგურაცია თითოეული ამბულატორიისათვის ცალკე იქნება შესაძლებელი. EMR აგებული იქნება კლინიკური ფორმების ერთობლიობით, რომელთა შერჩევა მოხდება ყოველი ცალკეული ექიმის მიერ (კონკრეტული ინტერესის არეალის გათვალისწინებით).

მომხმარებლის სახელმძღვანელო ითარგმნება ინგლისურიდან (MoLHSA-ს მიერ) და განთავსდება wHospital-ის დახმარების ონლაინ მოდულში (Help-Online). wHospital-ის Help-Online-ი წარმოადგენს content-management-ის გვერდს, რომელიც დაკავშირებულია (სპეციალური ლინკებით) wHospital-ის გვერდებთან და მოდულებთან. უფრო მეტიც, იქნება წარმოდგენილი გარკვეულ ვიდეო-ფაილებიც რათა უკეთ იქნას ნაჩვენები EMR-ის გამოყენებისა და ფუნქციონალის ძირითადი თავისებურებები.

ადმინისტრირების სახელმძღვანელო, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონფიგურაცია და ადაპტაცია ცალკეული ამბულატორიის და ექიმის სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინებით ("Resource configuration manual" და "Code Item and vocabulary configuration manual")

ToT-ისათვის განკუთვნილი სლაიდების და სახელმძღვანელოების შემუშავება, wHospital-ის ექიმის პორტალის ToT-ის სესიების ჩატარებისათვის



მიღება-ჩაბარება / დადასტურება

ზემოთხსენებული ყველა კომპონენტის ინსტალაცია უზრუნველყოფილი იქნება wHospital-ის თითოეულ ვარიანტისათვის. MoLHSA-ს პერსონალი განახორციელებს ახალი ამბულატორიის პარამეტრების ადმინისტრირების და კონფიგურაციის ფუნქციონალურ ტესტირებას, ზოგადი პროფილის ექიმის ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინებით. იმავდროულად, ზოგადი პროფილის ექიმების გუნდი განახორციელებს სიტემის შეფასებას კლინიკური ფორმების შევსებისა და მართვის გზით.

თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამობის გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.17 Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 6 - მოქალაქის პორტალი (განსაზღვრა, შექმნა, ტესტირება, სწავლება)

მოქალაქის პორტალი წარმოდგენილი ითვალისწინებს შესაბამისი სამედიცინო ინფორმაციის დათვალიერების ფუნქციონალს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება არსებული მოქალაქის პორტალის გზით. პორტალზე წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიგურაცია შესაძლებელი იქნება wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის ცენტრალური პანელის საშუალებით.

წინაპირობები

ვორქშოპების და სპეციფიკაციები

EMC-ის სამუშაო პაკეტი 2 - ტექნიკური არქიტექტურის დიზაინის შედეგები

დაშვებები

მოქალაქის პორტალის შესაბამისი და ოპტიმალური ინტეგრაციის უდიდესი ნაწილი განხორციელდება პროექტის პირველ ფაზაში.

პირები, რომელთაც ექნება აღნიშნულ პორტალთან ხელმისაწვდომობა, იქნებიან ასევე პროექტის პირველ ფაზაში შერჩეული მთავარი ჰოსპიტალის პაციენტებიც, როგორც პროექტის გეგმით არის მოსალოდნელი.

wHospital-ის პროგრამული სტრუქტურის დეველოპმენტის სამუშაოები განხორციელდება იტალიაში, offsite-რეჟიმში. დოკუმენტაცია და პროგრამული კოდები სრულად იქნება წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე.

MoLHSA უზრუნველყოფს რესურს-ფაილების თარგმნას.

მოსალოდნელი შედეგები

EMR-ის მოქალაქის პორტალის კონფიგურაციის განხორციელება დეველოპმენტის,

8. 

WAA

სატესტო და საწარმოო გარემოებში. მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდეს პორტალს (ავტორიზაციის პოლიტიკის გამოყენებით, რომელსაც განსაზღვრავს MoLHSA), დალოგირდეს სიტემაში ID-ბარათის მეშვეობით და დაათვალიეროს საკუთარი კლინიკური მონაცემები, რომელთა შევსება ცენტრალური EMR-ის სისტემიდან ხდება. კერძოდ, მოქალაქის პორტალი წარმოდგენილი იქნება ერთ Web-გვერდზე, სადაც მოცემული იქნება კლინიკური ფორმების ჩამონათვალი. კლინიკური ფორმების ჩვენება შესაძლებელი იქნება ე.წ. PopUp-ფანჯრების მეშვეობით html ან pdf ფორმატში. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იქნება პირის ჯამური ფუნქციონალური მაჩვენებლები, რომელთა მიღება შესაძლებელი სწრაფად სისტემაში დაფიქსირებული ბოლო კლინიკური მონაცემებზე დაყრდნობით.

მომხმარებლის სახელმძღვანელო, გარკვეული ვიდეო-ფაილების ჩათვლით, რომელიც აღწერს პორტალის ძირითად მახასიათებლებს.

ადმინისტრირების სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა მოხდეს პორტალზე წარმოდგენილი კლინიკური ფორმებისა და ინფორმაციის კონფიგურაცია

ToT-ისათვის განკუთვნილი სლაიდების და სახელმძღვანელოების შემუშავება, wHospital-ის მოქალაქის პორტალის ToT-ის სესიების ჩატარებისათვის


მიღება-ჩაბარება / დადასტურება

პორტალი დაინსტალებული იქნება საწარმოო გარემოში. MoLHSA-ს პერსონალი განახორციელებს ადმინისტრირების პროცედურების ტესტირებას, უზრუნველყოფს პორტალზე წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიგურაციას, ასევე მოქალაქის პორტალის ხელმისაწვდომობის ტესტირებას.

თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამოების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.18. Laserbiomed-ის სამუშაო პაკეტი 7 - HL7 მესიჯინგის მოდული (განსაზღვრა, შექმნა, ტესტირება, სწავლება)

შემუშავებული და კონფიგურირებული იქნება HL7-ის ინტეგრაციის მოდული, რაც უზრუნველყოფს გარე წყაროებიდან ცენტრალური EMR-ისათვის მონაცემების მიწოდებას. მოდული უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისის მიმწოდებლების შიდა საინფორმაციო სისტემების კავშირს ცენტრალურ EMR-თან. სიტემა შესაბამისობაში იქნება ყოველ ცალკეული ჰოსპიტალის საინფორმაციო სისტემასთან, IHE-ტრანზაქციების რეალიზაციის თვალსაზრისით და იმისათვის, რომ ცალკეულმა გარე წყაროს შეძლოს საჭირო ინფორმაციის მოთხოვნა ცენტრალური EMR-იდან (მაგ: სადაზღვევო კომპანიების მიერ გარკვეული კლინიკური ინფორმაციის მიება EMR-ში). პირველ ფაზაში შერჩეული ერთერთი მთავარი ჰოსპიტალი დაკავშირებული იქნება HL7-მესიჯინგის მოდულთან. ქართულ მხარეს ექნება საშუალება ავტონომიურ რეჟიმში უზრუნველყოს სხვა ჰოსპიტლების EMR-თან კავშირიც.

8. 

max

წინაპირობები

ვორქშოპები და სპეციფიკაციები

დაშვებები

ინტეგრაციის დეველოპმენტის სამუშაოები განხორციელდება იტალიაში, offsite-რეჟიმში

ტესტირებასთან დაკავშირებული აქტივობები ჩატარდება თბილისში (onsite-რეჟიმში) დეველოპმენტის და სატესტო გარემოები გამოყენებით.

მოსალოდნელი შედეგები

WHospital-ის HL7-მესიჯინგის მოდული უზრუნველყოფს EMR-თან დაკავშირებული ვორქშოპების შედეგად განსაზღვრული მესიჯების დამუშავებას

WHospital-ის External Service Bus-ის იმპლემენტაცია, რაც უზრუნველყოფს HCP-ების (გარე წყაროების) HL7 Web-Services-ებთან ინტეგრაციას

ინტეგრაციის შრის სატესტო სესიების შედეგები

ToT-ისათვის განკუთვნილი სლაიდების და სახელმძღვანელოების შემუშავება, WHospital-ის HL7-ის მოდულის ToT-ის სესიების ჩატარებისათვის

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

განხორციელდება HL7-ის მესიჯინგის მოდულის ინსტალაცია WHospital-ის ვარიანტებზე. MoLHSA-ს პერსონალი განხორციელებს ფუნქციონალურ ტესტირებას სტანდარტული HL7-მესიჯინგის აპლიკაციის გამოყენებით (გამოყენებული იქნება გარე ინსტრუმენტები <http://www.hl7.org/participate/toolsandresources.cfm>). მესიჯების განსაზღვრა მოხდება MoLHSA-ს პერსონალის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით Laserbiomed-ისაგან გაწეული იქნება საჭირო დახმარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას პირველ სამუშაო პაკეტში განსაზღვრული კომპონენტების სწორი კონფიგურაცია.


თუ MoLHSA აღმოაჩენს შეუსაბამობას კონტრაქტის მოთხოვნებთან ან გონივრულად გაზრდის ამ ამოცანებთან დაკავშირებულ ხარისხის/სისრულის მოთხოვნებს, EMC ვალდებულია მყისიერად და ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე უზრუნველყოს შეუსაბამობების გამოსწორება და ხელახლა წარუდგინოს ანგარიში MoLHSA-ს განხილვისა და დადასტურებისათვის.

3.19. Mokipay-ის სამუშაო პაკეტი 1 – Mobile-სერვერის პროგრამული

უზრუნველყოფის ინსტალაცია

„Mobile-სერვერის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის“ აღნიშნული ფაზა მოიცავს Mokipay-ის Mobile-სერვერის ინსტალაციას. მოცემული ფაზის განმავლობაში EMC-ის და მისი სუბკონტრაქტორების მიერ ინსტალირებული იქნება შემდეგი პროგრამული გარემოები:

8. 



დეველოპმენტის გარემო

სატესტო გარემო

საწარმოო გარემო

წინაპირობები

MoLHSA პასუხისმგებელია უზრუნველყოს ბაზისური ინფრასტრუქტურის ინსტალაცია და გამართვა (გარდა Mokipay-ის კომპონენტების ინსტალაციისა) Mokipay-ის მიერ მიწოდებული პრე-ინსტალაციის დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

Hardware-ის ყველა კომპონენტს და პრე-ინსტალაციის პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა ჰქონდეთ თითოეულთან გამოყენებადი შესაბამისი ე.წ. Patch-ები და Fix-ები. ასევე უნდა იყვნენ დაკავშირებული შესაბამისი ქსელთან/ინტერნეტთან Mokipay-ის მიერ ტექნიკური დოზინის ფაზაში მოწოდებული პრე-ინსტალაციის მოთხოვნების შესაბამისად.

MoLHSA-მ უნდა უზრუნველყოს VMware-ის ბაზისური არქიტექტურა, რაც უნდა იყოს საფუძველი დეველოპმენტის, სატესტო და საწარმოო გარემოებისათვის (სერვერების და მინიმალური კონფიგურაციის დეტალები განსაზღვრული იქნება ტექნიკური დოზინის ფაზაში). EMC-ის რესურსებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ყველა შესაბამისი სერვერთან, კლიენტთან და ა.შ. წვდომასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული იქნება უშუალოდ რესურსისათვის, ან შეყვანილი იქნება უშუალოდ MoLHSA-ს პერსონალის მიერ.

დაშვებები

MoLHSA-ს საოპერაციო სისტემების (OS), ქსელების, რელაციური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების (RDBMS)⁴⁸, მონაცემთა საცავების ქსელის (SAN)⁴⁹, სარეზერვო კოპირების/აღდგენის⁵⁰ სპეციალისტები უნდა იყვნენ ხელმისაწვდომი Mobile-სერვერის ინსტალაციის პროცესში, რათა უზრუნველყონ ტექნიკური იმპლემენტაცია მათი კომპეტენციის არეების მიხედვით.

საოპერაციო სისტემების, ქსელების, RDBMS-ის, SAN-ის, სარეზერვო კოპირების/აღდგენის სისტემების ინსტალაცია და/ან კონფიგურაცია უნდა წარიმართოს და განხორციელდეს თითოეული მათგანის შესაბამისი მწარმოებლის მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო ინსტრუქციების მიხედვით, ასევე MoLHSA-ს შიდა პოლიტიკის, პროტოკოლების და შეზღუდვების გათვალისწინებით.

Mokipay უზრუნველყოფს მხოლოდ რეკომენდაციებს MoLHSA-ს ტექნიკური გუნდის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში, მოქმედებების საბოლოო ფორმატი განისაზღვრება MoLHSA-ს მიერ.

⁴⁸ Relational Database Management System

⁴⁹ Storage Area Network

⁵⁰ Backup/Recovery



იგულისხმება, რომ გამოყენებული Windows-ს ან UNIX-ის საოპერაციო სისტემები და SQL Server-ის ან Oracle RDBMS-ის პროგრამული უზრუნველყოფები (ინსტალაცია MoLHSA-ს მიერ) წარმოადგენენ ვერსიებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება Mobile-სერვერთან. ასევე იგულისხმება, რომ Oracle Application Server-ის, Apache Tomcat-ის, BEA WebLogic-ის ან სხვა გამოყენებული Application Server-ები შესაბამისობაში იქნება Mobile-სერვერთან.

MoLHSA Hardware-ის (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: სერვერების, ქსელები, გადამრთველები, მონაცემთა საცავები, პერსონალური კომპიუტერები და სხვ) შესყიდვისას ხელმძღვანელობს EMC-ის მიერ რეკომენდირებული და MoLHSA-ს მიერ შეთანხმებული და დადასტურებული პარამეტრებით.

MoLHSA-ს SAN-ის სიტემის, სერვერების და Workstation-ების მყარ დისკებს ექნებათ საკმარისი სივრცე ან უზრუნველყოფილი იქნება სარეზერვო კოპირების/აღდგენის შესაბამისი პროცედურებით.

MoLHSA უზრუნველყოფს უსაფრთხო დისტანციური კავშირის შესაძლებლობას Mokipay-ის კონსულტანტებისათვის, შესაძლო ინსტალაციის/კონფიგურაციის დისტანციურად განხორციელების განსახორციელებლად.

მომხმარებელთა აუტენტიფიკაცია მოხდება Microsoft Windows Active Directory (AD)-ის ან Light-Weight Directory Access Protocol (LDAP) Authentication-ის მეშვეობით

მოსალოდნელი შედეგები

დაინსტალებული Mobile-სერვერის დეველოპმენტის გარემო

დაინსტალებული Mobile-სერვერის სატესტო გარემო

დაინსტალებული Mobile-სერვერის საწარმოო გარემო

Mobile-სერვერის ინსტალაციის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შესრულებული ინსტალაციის შესახებ, ასევე საჭირო მონაცემებს იმისათვის, რომ მოხდეს სისტემის შემდგომი განვითარება და მომსახურება

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

მოცემული სამუშაო პაკეტი განხილული იქნება შესრულებულად მას შემდეგ რაც იქნება წარმოდგენილი მოსალოდნელი შედეგები.

თითოეული პროგრამული გარემო დემონსტრირებული იქნება MoLHSA-ს პროექტის მენეჯერისათვის და ნაჩვენები იქნება, რომ პროგრამული უზრუნველყოფა წარმატებით იქნა ინსტალირებული. ინსტალაციის დოკუმენტში ასახული იქნება ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის წარმატებული ინსტალაციის შესახებ, ასევე მოიცავს MoLHSA-ს IT-პარამეტრებს, რომლებიც გამოყენებული იქნა ინსტალაციის დროს.

8. 



3.20. Mokipay-ის სამუშაო პაკეტი 2 - Mobile EMR ლოკალიზაცია და დეველოპმენტი

„Mobile EMR ლოკალიზაციისა და დეველოპმენტის“ მოცემული ფაზა ითვალისწინებს Mokipay-ს Mobile-აპლიკაციის დეველოპმენტს Android-ის და iPhone-ის პლატფორმებისათვის. EMC-ის მიერ აპლიკაციის დეველოპმენტი უზრუნველყოფილი იქნება ორ - ინგლისურ (აშშ) და ქართულ ენებზე.

წინაპირობები

MoLHSA უზრუნველყოფს ოფიციალურ თარგმანს ინგლისურიდან ქართულზე.

MoLHSA-უზრუნველყოფს იმ ობიექტების სრულყოფილ ჩამონათვალს (ნუსხას), რომლებიც გამოყენებული იქნება აპლიკაციაში. როგორცაა: ჰოსპიტალები, კლინიკები, აფთიაქები და სხვ. ობიექტების ნუსხა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ობიექტის ადგილის, ადგილის კატეგორიის, მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ვებგვერდის, ელ-ფოსტის, კოორდინატების (განედი და გრძედი) შესახებ და ასევე ტექსტურ აღწერილობას. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ (აშშ) და ქართულ ენებზე.

შეთანხმებული უნდა იყოს აპლიკაციის დიზაინი: ლოგოები, ფერები, ფანჯრების დიზაინი, სამუშაო-პროცედურები (workflow)

შეთანხმებული უნდა იქნას მონაცემების მინიმალური მოცულობა - იმისათვის რომ მოხდეს აპლიკაციის ადაპტირება, რათა შესაძლებელი იქნას შეთანხმებული ინფორმაციის ჩვენება მობილურ მოწყობილობაზე. შეთანხმებული მონაცემების მინიმალური მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ფაქტორებს:

4. EMR-ის მონაცემების მოცულობა (ნუსხა), რომელიც განსაზღვრული იქნება Laserbiomed-ის პირველი სამუშაო პაკეტის (ვორქშოპები EMR-თან დაკავშირებით) შესრულების შედეგად.
5. iPhone-ის და Android-ის პლატფორმის მოწყობილობებისთვის დამახასიათებელი შეზღუდვები ჩვენებასთან (display) დაკავშირებული
6. შეთანხმება MoLHSA-ს EMR-ის პროექტის რესურსებთან დაკავშირებით

დაშვება

აპლიკაციის დეველოპმენტის პროცესში დასაშვებია წინაპირობებში აღნიშნული წარმოდგენილი მონაცემების ცვლილების და განახლებების განხორციელება

მოსალოდნელი შედეგები

მოწოდებული იქნება აპლიკაციის Android-ის და iPhone-ის პლატფორმების ვერსიები, რომლებიც განთავსებული იქნება MoLHSA-ს დეველოპმენტის და სატესტო გარემოებზე

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

მობილური მოწყობილობების აპლიკაციების სადემონსტრაციო ვერსიები მიღება-ჩაბარებისათვის წარდგენილი იქნება MoLHSA-ს პროექტის გუნდის

8. 



წევრებისათვის.

3.21. Mokipay-ის სამუშაო პაკეტის 3 – Mobile-სერვერის და EMC HIP-ის

კომუნიკაცია

„Mobile-სერვერის და EMC HIP-ის კომუნიკაციის“ მოცემული ფაზა ითვალისწინებს EMC-ის მიერ Mobile-სერვერსა და EMC-სერვერებს შორის მონაცემების გაცვლის კომუნიკაციის კომპონენტის დეველოპმენტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას iPhone-ის და Android-ის აპლიკაციებისათვის შესაბამისი EMR-მონაცემების მიღება (ექსტრაქტირება).

წინაპირობები

მინიმალური მონაცემების შეთანხმებული მოცულობა

მონაცემების გაცვლი შეთანხმებული პროტოკოლი

საჭირო სერვერები და გარემოები ინსტალირებული და მუშა მდგომარეობაშია

დაშვებები

არ არის განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები ზემოაღნიშნულ წინაპირობებთან მიმართებაში

მოსალოდნელი შედეგები

უზრუნველყოფილი იქნება მონაცემების გაცვლა Mokipay-ს და EMC-ის სერვერებს შორის. Mobile-აპლიკაციებს შეეძლება მონაცემების შენახვის და წვდომის უზრუნველყოფა Mokipay-ს და EMC-ის სერვერებს შორის არსებული ინტეგრაციის გზით. დაგეგმილია, რომ აღნიშნული ინტეგრაცია EMC HIP XDS Registry-თან განხორციელდება XDS Web-Services layer-ის გზით, რაც გულისხმობს იმას რომ Mokipay-ის Mobile-აპლიკაცია იფუნქციონირებს როგორც XDS-მომხმარებელი აპლიკაცია.

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

MoLHSA-თვის მიღება-ჩაბარებისათვის წარდგენილი იქნება Mobile-აპლიკაციების ვერსიები, რომლებსაც EMC HIP-ის სერვერიდან EMR-მონაცემების მიღება და წარმოდგენა

3.22. Mokipay-ის სამუშაო პაკეტი 4 - Mobile EMR-ის დეველოპმენტი, ტესტირება და

ტრენინგი

„Mobile EMR-ის დეველოპმენტის, ტესტირების და ტრენინგის“ მოცემული ფაზა ითვალისწინებს Mokipay-ის Android-ის და iPhone-ის აპლიკაციების დეველოპმენტს და ტესტირებას. მოცემული ფაზის შედეგი იქნება Android-ის და iPhone-ის საბოლოო ვერსიები.

წინაპირობები

მიღებულია ყველა მოსალოდნელი შედეგი „Mobile-სერვერის პროგრამული

8. 

WAT

„უზრუნველყოფის ინსტალაციის“, „Mobile EMR ლოკალიზაციისა და დეველოპმენტის“ და „Mobile-სერვერის და EMC HIP-ის კომუნიკაციის“ სამუშაო პაკეტების შესრულების შედეგად.

დაშვებები

შესაძლებელია საჭირო გახდეს მცირე ხასიათის ცვლილებების ან/და ხარვეზების გამოსწორება Android-ის და iPhone-ის აპლიკაციებთან დაკავშირებით

შესაძლებელია საჭირო გახდეს მცირე ხასიათის ცვლილებების ან/და ხარვეზების გამოსწორება Mobile-სერვერის და EMC-სერვერებს შორის ინტეგრაციასთან დაკავშირებით

მოსალოდნელი შედეგები

გამოშვებულია Android-ის და iPhone-ის აპლიკაციებთან საბოლოო ვერსიები

Mokipay-ის მიერ Android-აპლიკაციის განთავსება Google Play Store-ზე

Mokipay-ის მიერ iPhone-აპლიკაციის განთავსება Apple App Store -ზე

შემუშავებული იქნება ტრენინგის მასალები, აპლიკაციის მოხმარების თაობაზე, იქნება მომზადებული სახელმძღვანელო Android-ის მომხმარებელთათვის და სახელმძღვანელო iPhone-ის მომხმარებელთათვის

შემუშავებული იქნება ტრენინგების მასალები MoLHSA-ს მიერ Mokipay-ს სერვერების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული უზრუნველყოფილი იქნება იგივენაირად, ToT-მიდგომით.


ჩამოყალიბებული იქნება ტესტირების სცენარები, რათა მოხდეს დარწმუნება იმაში, რომ აპლიკაციები ფუნქციონირებენ დიზაინის შესაბამისად. აღნიშნული ტესტირების სცენარები უზრუნველყოფილი და დოკუმენტირებული იქნება პროექტის გუნდს მიერ.

მიღება-ჩაბარება / დადასტურება

სამუშაო პაკეტის შესრულებულად განიხილება მას შემდეგ რაც Android-ის და iPhone-ის აპლიკაციები განთავსებული იქნება Google Play Store-ზე და Apple App Store-ზე

სატრენინგო მასალები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის პირველი ფაზის მთლიანი სატრენინგო პროგრამის ფარგლებში.

ტესტირების სცენარები შემუშავებული და შესრულებული იქნება შეთანხმებული სტანდარტების შესაბამისად (შეთანხმებული პროექტის ინიცირების ხარისხის გეგმის ფარგლებში).



4. მიღება-ჩაბარების კრიტერიუმები

მიღება-ჩაბარების კრიტერიუმები განსაზღვრავს საფუძველს, რის მიხედვითაც მოხდება MoLHSA-მიერ EMC-ის შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას შეთანხმებული შესასრულებელი სამუშაოს მიწოდება

1. დოკუმენტის სახით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით:

- a) მას შემდეგ რაც დასრულდება შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წინასწარი ვარიანტი (პროექტი), EMC ერთი (1) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულების თაობაზე შეტყობინების გაგზავნას MoLHSA-თვის, შესაბამისად გააგზავნის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის პროექტს ელექტრონულ ვერსიას წინასწარი განხილვისა და შეფასებისათვის
- b) MoLHSA-ს მოთხოვნის შემთხვევაში, EMC დაგეგმავს შესაბამის ვორქშოპს MoLHSA-ს წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა განმარტებული და განხილული იქნას წარმოდგენილი ანგარიში. იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარება, ზემოაღნიშნული ვორქშოპი სასურველია ჩატარდეს წინა პუნქტში ხსენებული შეტყობინებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. ნებისმიერი სახის ანგარიშის პროექტთან მიმართებაში აღნიშნული მოიცავს პირველად, მაქსიმუმ ორ (2) განხილვის ციკლს, თუ EMC-მ არ უპასუხა წინა განხილვების ციკლების შედეგად MoLHSA-გან მიღებული ყველა კომენტარი/მოთხოვნა, მაშინ საჭირო იქნება მეტი განხილვის ციკლების განხორციელება და EMC-ი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ყველა MoLHSA-ს მოთხოვნების/შენიშვნების გათვალისწინებას მაქსიმუმ ორი (2) განხილვის ციკლის ფარგლებში (უზრუნველყოფილი იქნება შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული ის მატერიალური საკითხები, რომლებსაც პროექტის მმართველი კომიტეტი მიიჩნევს რაციონალურად, როგორც შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისათვის აუცილებელი წინაპირობა)
- c) განხილვების ვორქშოპის დასრულების შემდეგ, MoLHSA-ს ექნება საშუალება ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში (ყოველი განხილვის ციკლის შემდეგ) წარმოადგინოს განხილვის შემდგომი მოსაზრებები ან მოთხოვნები. EMC სამი (3) სამუშაო დღის ვადაში, მაქსიმუმ ორი (2) განხილვის ციკლის ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა კომენტარის/მოთხოვნის ანგარიშში გათვალისწინებას (უზრუნველყოფილი იქნება შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული ის მატერიალური საკითხები, რომლებსაც პროექტის მმართველი კომიტეტი მიიჩნევს რაციონალურად, როგორც შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისათვის აუცილებელი წინაპირობა)
- d) მას შემდეგ რაც EMC-ის მიერ ანგარიშის მომდევნო/საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებული იქნა ყველა მოთხოვნილი ცვლილება, EMC უზრუნველყოფს მომდევნო ანგარიშის მომდევნო/საბოლოო ვერსიის მიწოდებას MoLHSA-თვის, იმ თვალსაზრისით, რომ MoLHSA-ს მიერ მოხდება

8. 

MAA

მოცემული ვერსიის შემდგომი განხილვა ზემოაღნიშნული პროცედურების შესაბამისად, მაქსიმუმ ორის (2) განხილვის ციკლის ფარგლებში (უზრუნველყოფილი იქნება შესრულებული სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული ის მატერიალური საკითხები, რომლებსაც პროექტის მმართველი კომიტეტი მიიჩნევს რაციონალურად, როგორც შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისათვის აუცილებელი წინაპირობა)

2. სხვა, არა პროგრამულ-უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების კუთხით (მაგ: "All hands" Project kick-off):

- a) EMC ერთი (1) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულების თაობაზე MoLHSA-თვის შეტყობინების გაგზავნას


3. ყველა შესასრულებელი სამუშაოსთან დაკავშირებით და (1) და (2) პუნქტების გაგრძელებით:

- a) ზემოაღნიშნული პროცედურების შესაბამისად (განხილვების ციკლები, მოთხოვნების შესაბამისი განახლებები და ა.შ.) სამუშაო პაკეტით განსაზღვრული ყველა შესასრულებელი სამუშაოს დასრულების/შესრულებისთანავე EMC დაუყონებლივ ხელმოსაწერად (ფიზიკური ან ელექტრონული ხელმოწერა) წარუდგენს MoLHSA-ს სამუშაო პაკეტის მიღება-ჩაბარების აქტს, ეს უკანასკნელი ხელმოწერის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს EMC-ის პროექტის მენეჯერს.

- b) იმ შემთხვევაში, თუ EMC-ის მიერ შესაბამისი სამუშაოს შესრულების თაობაზე შეტყობინების გაგზავნიდან სამი (3) სამუშაო დღის ვადაში MoLHSA-ს მიერ არ იქნა ხელმოწერილი სამუშაო პაკეტის შესრულების მიღება-ჩაბარების აქტი (აქ იგულისხმება ის, რომ შესრულებულია ყველა ზემოაღნიშნული პროცედურა, როგორიცაა საჭირო განხილვები, გადახედვის ციკლები, ცვლილებები და სხვ., მათ შორის შესრულებული სამუშაოს ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინება, რომლებიც პროექტის მმართველი კომიტეტის მიერაა დადგენილი) და ამ პერიოდის განმავლობაში არ იქნა მოწოდებული ხელის არ მოწერის რაიმე მიზეზი, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი სამუშაო პაკეტი ავტომატურად ჩაითვლება შესრულებულად, რათა შესაძლებელი იყოს პროექტის შემდგომ ამოცანებზე მუშაობის დროული გაგრძელება.

4. პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების კუთხით:

- a) EMC უზრუნველყოფს MoLHSA-თვის ერთი (1) სამუშაო დღის ვადაში შეტყობინების გაგზავნას შესაბამისი სამუშაოს დასრულების და ტესტირებისათვის მისი მზაობის თაობაზე,
- b) ამის შემდგომ MoLHSA უზრუნველყოფს მომხმარებელთა ტესტირების (UAT) ჩატარებას შესაბამის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით, რათა დადასტურდეს მათი შესაბამისობა კონტრაქტით დადგენილ სპეციფიკაციებთან და მოთხოვნებთან. მომხმარებელთა ტესტირების (UAT) შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები რეგისტრირებული იქნება ე.წ. test- script-მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მე-5 თავშია



აღწერილი.

- c) EMC აღმოუჩენს შესაბამის დახმარებას MoLHSA-ს მომხმარებელთა ტესტირების (UAT) წარმართვისათვის
- d) მომხმარებელთა ტესტირების (UAT) დასრულება (ან სხვაგვარი გამოსავალი) განისაზღვრება მე-5 თავში მოცემული პირობების გათვალისწინებით.

8. 

WAA

5. ტესტირების პროცესის შეცდომები

მოცემული განაწესი უშუალოდ უკავშირდება EMC-ის და მის სუბკონტრაქტორების სამუშაოებს, რითიც უზრუნველყოფილი იქნება შეთანხმებული ინსტალაციის ან კონფიგურაციის წარმატებული განხორციელება.

ტერმინი „შესრულებული სამუშაო“ გულისხმობს ნებისმიერ პროგრამულ უზრუნველყოფის, ან პროგრამულ უზრუნველყოფის კონფიგურაციის ან სხვა კომპონენტის დეველოპმენტს, რომელიც შესრულებულია EMC-ის მიერ ამ SOW-ის შესაბამისად.

ტერმინი „პროგრამული უზრუნველყოფა“ გულისხმობს EMC-ის (ან მისი პარტნიორების, Laserbiomed-ის და Mokipay-ს) მიერ MoLHSA-თვის ცალკე ხელშეკრულებით ლიცენზირებულ პროგრამული უზრუნველყოფა.

UAT-ის წარმატებული (ან წარუმატებელი) შესრულება თავად ჩაიწერება Test-Script-ში, სადაც გამოკვეთილად იქნება მოცემული ხარვეზების დეტალები, რათა შესაძლებელი იყოს მათი ეფექტური ანალიზი და გამოსასწორებელი ღონისძიებების დადგენა. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას UAT-ის მაქსიმალურად ეფექტური ჩატარება და ხარვეზების რაოდენობის მინიმიზაცია, ყველა ხარვეზის რეპორტი MoLHSA-ს მიერ უნდა იქნას დახარისხებული პრიორიტეტების შემდეგი დონეების მიხედვით:

1. A-კატეგორია: დიდი ხარვეზი შესრულებული სამუშაოს ფარგლებში:

- 1.1. შესრულებული სამუშაოს ფარგლებში იდენტიფიცირებული A-კატეგორიის ხარვეზი არის ის, რის გამოც შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირება არის დეგრადირებული, იმდენად, რომ შეუძლებელია მისი ეფექტური ფუნქციონირება ან შესაძლებელია მისი ფუნქციონირება გამოვლენილი სერიოზული დეფექტის არსებობით

2. B-კატეგორია: საშუალო ხარვეზი შესრულებული სამუშაოს ფარგლებში:

- 2.1. შესრულებული სამუშაოს ფარგლებში იდენტიფიცირებული B-კატეგორიის ხარვეზები წარმოადგენენ ლოკალიზებულ პრობლემებს, რომელთა გამო პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირება არ არის შეუძლებელი (მაგ: არაკრიტიკული ხასიათის ვალიდაციის შეცდომები, ცუდად ფორმირებული რიცხობრივი გამოსახულებები და ა.შ.), და რომლებიც ვერ ხვდებიან A ან C-კატეგორიებში.

3. C-კატეგორია: მცირე ხარვეზი შესრულებული სამუშაოს ფარგლებში:

- 3.1. C-კატეგორიის ხარვეზები არის კოსმეტიკური ხასიათის და არ შეუძლია რაიმე სერიოზული ხასიათის გავლენის მოხდენა პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირებაზე, ეს არის ხარვეზები რომელთა დაუყონებლივი გამოსწორების გარეშე შესაძლებელია რეალური ოპერაციების შესრულება (ასეთი ხარვეზებია მაგ: არა ნათელი error-რეპორტები და ა.შ.). C-კატეგორიის ხარვეზები არ შეილება იყოს UAT-ის ჩავარდნის მიზეზი, თუ ისინი არ არის იდენტიფიცირებული იმ რაოდენობით, რაც მიუთითებს მოცემული პროგრამული უზრუნველყოფის



დეველოპმენტთან დაკავშირებით არადამაკმაყოფილებელ
კვალიფიკაციაზე და პასუხიმგებლობაზე

4. D-კატეგორია: მომხმარებლის ხარვეზი:


- 4.1. ი არის უშუალოდ ტესტირების შეცდომების შედეგი. თუ არსებობს დავა EMC-ისა და MoLHSA-ს შორის ტესტის ვალიდურობასთან დაკავშირებით, მოხდება ხარვეზის E-კატეგორიაში კლასიფიცირება. D-კატეგორიის ხარვეზები ვერასდროს ვერ იქნება UAT-ის ჩავარდნის მიზეზი.


5. E-კატეგორია: სადაო შემთხვევები

- 5.1. E-კატეგორიის ხარვეზები ძირითად არის თავდაპირველად D-კატეგორიაში იდენტიფიცირებული ხარვეზები, რომლებთა თაობაზეც ვერ მოხერხდა MoLHSA-ს და EMC-ის შეთანხმება (მაგ: ვალიდაციის წესების განსხვავებული ინტერპრეტაცია), ამას გარდა შეიძლება იყოს სხვა სადაო ხარვეზებიც. თუ სადაო შემთხვევა ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში არ იქნა შეთანხმებული მხარეებს შორის, საკითხი გადამისამართებული იქნება ნეიტრალურ პირთან, რომლის ვინაობაც შეთანხმებული იქნება მხარეების მიერ. ნეიტრალური პირის მომსახურების საფასურის ანაზღაურება მოხდება MoLHSA-ს და EMC-ის მიერ ერთობლივად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემულ პირს აქვს უფლება მოთხოვოს მისი ანაზღაურება სხვაგვარად მისი დასკვნების გათვალისწინებით). პირი რომელიც მხარეების მიერ ნომინირებული იქნება ზემოაღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება როგორც ექსპერტმა და არა როგორც არბიტრმა, და მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და შემკვერელი ორივე მხარისათვის.

ზემოაღნიშნული ხარვეზების განაწესთან დაკავშირებით:

1. ტესტირების პერიოდში B, C, D ან E-კატეგორიის ხარვეზების დაფიქსირება არ უნდა დასრულდეს UAT-ზე უარით, თუმცა A-კატეგორიის ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში UAT უნდა შეწყდეს და მხარეების მიერ ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დასახელდეს ორივე მხარისათვის მისაღები თარიღი ახალი UAT-ის ჩატარებისათვის, მას შემდეგ რაც EMC უზრუნველყოფს ხარვეზს გამოსწორებისათვის ყველა საჭირო ღონისძიებას.
2. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ჩატარდება ყველა ტესტირება და შედეგად არ იქნება აღმოჩენილი A-კატეგორიის ხარვეზი და დარჩენილი იქნება არაუმეტეს ხუთი (5) B-კატეგორიის გამოუსწორებელი ხარვეზი (ან ნაკლები რაოდენობა, რომელიც შეთანხმდება პროექტის მენეჯერებს შორის), და აგრეთვე თუ არ არის ხარისხთან დაკავშირებული რაიმე მატერიალური საკითხი, რომლისაგან პროექტის მმართველი კომიტეტი მიიჩნევს რაციონალურად, როგორც შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისათვის აუცილებელი წინაპირობა.
3. C-კატეგორიის ხარვეზების დაფიქსირება არ მოითხოვს განმეორებითი ტესტირების ჩატარებას. EMC უზრუნველყოფს შესაბამის ძალისხმევას ამ სახის ხარვეზების გონივრულ ვადაში გამოსწორებისათვის. ჩვეულებრივ სადაც

8. 



შესაძლებელია, ამ სახის ხარვეზების გასწორება ხდებოდა მას შემდეგ რაც მოხდებოდა სწორი ფუნქციონალის დემონსტრირება, თუმცა შესაძლოა საჭირო იყოს მხოლოდ დაზუსტებების გაკეთება.


4. UAT-ის ყოველი დღის ბოლოს, თუ არ არსებობს სხვა ურთიერთ შეთანხმებული სიხშირე, განხორციელდება შემაჯამებელი შეხვედრები, რომლებზეც მოხდება დღის განმავლობაში დაფიქსირებული ყველა შეთხვევის რეგისტრაცია და შეთანხმება.
5. Test-Script წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტის განუყოფელ ნაწილს ან მიღება-ჩაბარების აქტი ეყრდნობა მას. მიღება-ჩაბარების აქტი უნდა მოიცავდეს Test-Script-ის ყოველ კომპონენტს, და მისი დამტკიცება უნდა მოხდეს MoLHSA-ს მიერ შესაბამისი სამუშაო პაკეტის შესრულების დადასტურებამდე.
6. UAT-ის მიზანია უზრუნველყოს მტკიცებულებები იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს. ამგვარი კრიტერიუმების დაკმაყოფილება უშუალოდ Test-Script-ში იქნება MoLHSA-ს მიერ რეგისტრირებული. MoLHSA უზრუნველყოფს ტესტირების ჩატარებას, მისი თანამშრომლები პასუხისმგებლები იქნებიან მოახდინონ ცალკეული ტესტის პროგრესისა და შედეგების რეგისტრაცია, წარმოადგინონ ნებისმიერი ხარვეზის რეპორტი და უზრუნველყოს ჩატარებული ტესტირების პირველადი ანალიზი.
7. ხარვეზების აღრიცხვის აღნიშნული განაწესი მოქმედებს სხვა MoLHSA-სთვის ნაცნობი ანალოგიური განაწესის არ არსებობის შემთხვევაში. მოცემული განაწესი არის EMC-ს მცდელობა და კომერციული წინადადება. თუ MoLHSA-ს აქვს სურვილი წარმოადგინოს ხარვეზების აღრიცხვის ალტერნატიული განაწესი, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმისგან, რაც ამ დოკუმენტშია აღწერილი, შესაძლებელია განხილული და შეთანხმებული იქნას EMC-ის პროექტის მენეჯერთან ერთად. თუ EMC-ის პროექტის მენეჯერი აღმოაჩენს მნიშვნელოვან განსხვავებებს (ან დამატებითი ძალისხმევის საჭიროებას), MoLHSA-ს შემოთავაზების მიღება წარიმართება ცვლილებების მათვის პროცედურების გზით.



6. ორგანიზაცია

6.1. პროექტის გუნდი

ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს პროექტის სამუშაო გუნდის მოსალოდნელ სტრუქტურას:



დიაგრამა 1: პროექტის სამუშაო გუნდის სტრუქტურა

პროექტის მმართველი კომიტეტი:

- შედგება MoLHSA-ს და EMC-ის წარმომადგენლებისაგან. პირველი დონის ესკალაცია ესკალაციის პროცესში.

პროგრამის მენეჯმენტი:

- წარმოდგენილია EMC-ის ერთი და MoLHSA-ს ერთი პროექტის მენეჯერით.

პროექტის მენეჯმენტი:

- წარმართული იქნება 6PM-ის და MoLHSA-ს პროექტის მენეჯერების მიერ.

სამუშაო მიმართულებების წარმართვა:

- განსაზღვრული იქნება EMC HIP-ის სამუშაო მიმართულება, Laserbiomed EMR-ის

სამუშაო მიმართულება, Mokipay Mobile-ის სამუშაო მიმართულება.

პროექტის გუნდი:

- წარმოდგენილია MoLHSA-ს თანამშრომლებით, EMC-ის, 6PM-ის, Laserbiomed-ის და Mokipay-ის კონსულტანტებით.

პროექტის დაწყებამდე MoLHSA და EMC უზრუნველყოფენ სამუშაო გუნდის შექმნას პროექტის მთლიანი პერიოდისათვის. MoLHSA-ს პროექტის მენეჯერი უფლებამოსილი იქნება პროექტის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი ბიზნეს-მოთხოვნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, იგი ვალდებულია დაუთმოს პროექტს თავის დროის მინიმუმ 50%. პროექტის მიმდინარეობისას EMC-ის შეუძლია გუნდს დაამატოს სხვა დამატებითი წევრები. პროექტის მენეჯმენტი უნდა იქნას დანიშნული მანამ, სანამ მოხდება პროექტის დაწყება.

MoLHSA-მ უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის გუნდის წევრებს გააჩნდეთ რაციონალური ცოდნა და კომპეტენცია EMC-ის პროგრამული უზრუნველყოფის და პროექტის ასპექტების თავალსაზრისით (ამ კუთხით EMC თანახმაა უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება). პროექტის გუნდის ყოველ წევრს გავლილი უნდა ჰქონდეს EMC-ს პროგრამული უზრუნველყოფის ბაზისური ტრენინგ-კურსები. ეს კურსები გათვალისწინებულია ამ SOW-ით.

8. 



6.2. ცვლილებების მართვის პროცედურები


მოცემულ SOW-ში ცვლილებების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ პროექტის MoLHSA-ს და EMC-ის წევრების მიერ, ცვლილებების მოთხოვნის ფორმის სპეციალური გამოყენებით. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იქნას აღწერილი და მისი მიზეზები განმარტებული. ცვლილებები მოთხოვნის ფორმა ასევე ხელმოწერილი უნდა იქნას შესაბამისი პროექტ-მენეჯერის მიერ.

ცვლილებების მოთხოვნის ფორმა წარდგენილი უნდა იქნას მეორე მხარისათვის. პროექტის მენეჯერმა უნდა ცვლილებების მოთხოვნის ფორმაში უნდა მიუთითოს ცვლილებების შედეგად მოსალოდნელი გავლენა ხარჯებზე, ვადებზე და სხვა ფაქტორებზე.

ორივე მხარის წარმომადგენელი პროექტის მენეჯერები აყალიბებენ ცვლილებების მართვის ბორდს (CCB)⁵¹, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ორივე მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილი პირების პროცესში ჩართვა, რომლებიც მიიღებენ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას მოთხოვნილი ცვლილების შესახებ. ბორდთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდება ვერანაირი ცვლილების განხორციელება. თითოეული მხარე თავის მხრიდან ჩატარებული შეფასებების ხარჯებს ფარავს თავად.

მიღებული გადაწყვეტილება ცვლილებების მოთხოვნის ფორმაში უნდა იქნას დასაბუთებული წერილობითი სახით.

პროექტის მენეჯერები ცვლილებების მოთხოვნის ფორმაში ახორციელებენ ცვლილებების შესრულებასთან დაკავშირებულ შესაბამის ჩანაწერებს.



⁵¹ Change Control Board

8.

MAA

6.3. ესკალაცია

პროექტის ფარგლებში რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტის შესაძლებლობა პირველ რიგში მოძიებული უნდა იქნას პროექტი მმართველი გუნდის ფარგლებში. თუ შემდგომი ესკალაცია გახდა აუცილებელი, საკითხის გადაწყვეტაში ჩაერთვებიან პირები, რომლებიც ორივე მხრიდან ნომინირებულნი არიან ამგვარი სიტუაციებისათვის. გარკვეული საკითხების მოგვარების მიზნით სასურველია, რომ ასეთი პირების ნომინირება მოხდეს პროექტის დაწყებისთანავე. EMC-ის მხრიდან ესენი არიან:

სტანდარტული პროდუქტები და ლიცენზიები:

EMC-ის ექსპერტ-მენეჯერი

პროექტის პროგრესი; ტექნიკური საკითხები:

EMC-ის პროექტის მენეჯერი

8. 




7. ანგარიშსწორება ფიქსირებული ღირებულების მიხედვით


7.1. ფიქსირებული ღირებულების მიხედვით ანგარიშსწორების განრიგი

ცალკეული ეტაპი ითვლება "დასრულებულად" მხოლოდ MoLHSA-ს წერილობითი დასტურის არსებობის შემთხვევაში, თუ ამ SOW-ით სხვაგვარი რამ არ არის გათვალისწინებული. მიმდინარე ეტაპებთან დაკავშირებით (მათ შორის ეტაპი-18 (EMC-სამუშაო პაკეტი-5) და ეტაპი-7 (6PM-სამუშაო პაკეტი-2)), იმს აცნობიერებს და თანახმაა, რომ მოცემული ეტაპები არ შეიძლება განხილული იქნას დასრულებულად, მანამ სანამ არ დასრულდება ამ SOW-ით გათვალისწინებული სხვა ეტაპები და მომსახურებები.

ეტაპების შესრულების ვადები მხარეების მიერ შეთანხმებული და ასახული იქნება პროექტის ინიცირების გეგმაში, EMC უზრუნველყოფს შესაბამის ძალისხმევას შეთანხმებული ვადების დაცვასთან დაკავშირებით.

ანგარიშსწორების ეტაპი	განმარტება	%	ჯამში (\$)
ეტაპი 1	EMC-სამუშაო პაკეტი-1-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 2	6PM-სამუშაო პაკეტი-1-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 3	Mokipay-სამუშაო პაკეტი-1-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 4	EMC-სამუშაო პაკეტი-2-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 5	LaserBiomed-სამუშაო პაკეტი-1-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 6	Mokipay -სამუშაო პაკეტი-2-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 7	6PM-სამუშაო პაკეტი-2-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 8	EMC-სამუშაო პაკეტი-3-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 9	LaserBiomed-სამუშაო პაკეტი-2-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 10	LaserBiomed -სამუშაო პაკეტი-3-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 11	6PM-სამუშაო პაკეტი-3-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 12	LaserBiomed -სამუშაო პაკეტი-4-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 13	Mokipay-სამუშაო პაკეტი-3-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 14	EMC-სამუშაო პაკეტი-4-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 15	LaserBiomed-სამუშაო პაკეტი-5-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 16	Mokipay-სამუშაო პაკეტი-4-ის დასრულება	5	\$90.000,00

8. 



ეტაპი 17	LaserBiomed -სამუშაო პაკეტი-6-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 18	EMC-სამუშაო პაკეტი-5-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 19	6PM-სამუშაო პაკეტი-4-ის დასრულება	5	\$90.000,00
ეტაპი 20	LaserBiomed -სამუშაო პაკეტი-7-ის დასრულება	5	\$79.531,00
სულ:		100	\$1.789.531,00

მოცემული ფასები არ შეიცავს დღგ-ს და სხვა გადასახადებს. თუმცა პროექტის ყველა ხარჯი გათვალისწინებულია მთლიან ღირებულებაში. ამ დოკუმენტში აღწერილი აქტივობებიდან გამომდინარე, პროექტის სრულმა ღირებულებამ შეადგინა 1,789,531.00 აშშ დოლარი.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა დამატებითი ძალისხმევა, გამოწვეული პროექტში შეტანილი ცვლილებების ან MoLHSA-ს დაგვიანების მიზეზით, რაც ამ ხელშეკრულების შესაბამისად შეტყობინებული იქნება, როგორც "ვალდებულების შემამსუბუქებელი გარემოება", შესაბამისი დამატებითი დღეები და ხარჯების დარეგულირება მოხდება „ცვლილებების მოთხოვნის“ (იხ. ცვლილებების მართვის პროცედურები) ან უფრო მარტივად, EMC-ის პროექტის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი "კონტრაქტის ვადის გაგრძელების" ფორმის გზით.

ინვოისები გაგზავნა მოხდება კონტრაქტის საწყის გვერდზე დაფიქსირებულ მისამართზე, თუ სხვა მისამართის თაობაზე EMC-ი არ იქნა ინფორმირებული (გთხოვთ, საჭიროების შემთხვევაში მიუთითოთ ინვოისის მისამართი)

შენიშვნა: ანგარიშსწორება ხორციელდება ინვოისის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში.

7.2. სამუშაო საათების და ზეგანაკვეთური სამუშაო

ნორმალურ სამუშაო დროის ხანგრძლივობად მიჩნეულია თითოეულ მომუშავეზე ყოველ სამუშაო დღეში 8 საათი, 8:00-დან 18:00-საათამდე. მგზავრობისათვის განკუთვნილი დრო, გარდა მუდმივი საცხოვრებელიდან (მ.შ. სასტუმროდან) სამუშაო ადგილამდე მგზავრობისა, განიხილება როგორც სამუშაო დრო (ანუ მოგზაურობისათვის განკუთვნილი დრო ექვემდებარება ანაზღაურებას). ყველა სამუშაო ანაზღაურებული იქნება ექვივალენტური საათობრივი განაკვეთების მიხედვით.

7.3. მოგზაურობა და მოგზაურობის ხარჯები

ზემოაღნიშნული თანხები შეიცავენ მოგზაურობის და სხვა ხარჯებს მხოლოდ ამ SOW-ის ფარგლებში განსაზღვრული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. სხვა ხარჯები,

8. 



რომლებიც უნდა გასწიოს EMC-იმ განხორციელებული ცვლილებების გამო, შეტანილი იქნება ცვლილებების მოთხოვნაში, რომელიც წარდგენილი იქნება საჭიროების შესაბამისად.

8. 



8. სხვა საკითხები

საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების პირობების გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი დამატებითი საკითხები:

MoLHSA-ს შესაბამისი საკონტაქტო პირი უნდა იყოს მუდმივად ხელმისაწვდომი EMC-ის კონსულტანტებისათვის

კონსულტანტებისათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი სამუშაო გარემო, როგორცაა მაგიდა, ტელეფონი, პრინტერი, ინტერნეტ-კავშირი

MoLHSA-თანახმა დაამუშაოს EMC-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია დაუყონებლივ. თუ MoLHSA ვარაუდობს რაიმე დაყოვნებას, იგი უზრუნველყოფს ამის თაობაზე EMC-ის შეტყობინებას. EMC ასევე ეცდება რამდენადაც შესაძლებელია ადრე აცნობოს MoLHSA-ს იმის თაობაზე, თუ როდის იქნება შესაძლებელი დოკუმენტაციის მიღება განხილვისათვის. იმ შემთხვევაში, თუ EMC-ის შეუძლია დაამტკიცოს, რომ მის მიერ გაგზავნილი შესაბამისი დოკუმენტაცია მიღებული იქნა MoLHSA-ს პროექტის მენეჯერის მიერ, და აღნიშნული დოკუმენტაცია არ იქნა განხილული და პასუხგაცემული, ასეთ შემთხვევაში წარდგენილი სამუშაო განხილული იქნება როგორც ქართული მხარის მიერ ჩაბარებული.

EMC იქნება უფლებამოსილი როგორც მთლიან, ასევე სუბ-კონტრქტულ მომსახურებებზეც, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება მისი პარტნიორების მიერ. ამასთანავე სრულად არის გაცნობიერებული, რომ EMC-ის საკონსულტაციო მომსახურება შესყიდვა არის დამოუკიდებელი EMC-ის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის შესყიდვისაგან.

საჯაროობა: EMC უფლებამოსილია თავის საჯარო განცხადებებში მოახდინოს რეფერირება MoLHSA-სა და მოცემულ პროექტზე, თუ იქნება MoLHSA-ს წერილობითი თანხმობა, ყოველ ცალკეულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

თუ არსებობს კონფლიქტი საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების, ტექნიკურ დავალების (SOW) და შესაბამისი შესყიდვის შეკვეთის ნორმებს შორის, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი პრიორიტეტულობა:

1. ტექნიკურ დავალების (SOW) მოთხოვნების უზრუნველყოფა
2. საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნების უზრუნველყოფა
3. შესაბამისი შესყიდვის შეკვეთის მოთხოვნების უზრუნველყოფა



9. საბოლოო შეთანხმება / შეუთანხმებლობა

მიმდინარე ვადების გათვალისწინებით, EMC-ის შეუძლია შესაბამისი სამუშაოს დაწყება საშუალოდ 4-6 კვირის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მოხდება მოცემული SOW-ს MoLHSA-ს მიერ შესაბამისი წესით დადასტურება და EMC-ის მიერ დამტკიცება.

კლიენტის შესყიდვის შეკვეთა თან უნდა ერთვოდეს მოცემულ SOW-ს.

მოცემული SOW-თან დაკავშირებით EMC-ისა და MoLHSA-ს შეთანხმება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს <.....> ვადისა, ან მოგვიანებით, EMC-სთან შეთანხმებულ ისეთ ვადაში, რომ შესაძლებელი იყოს ამ SOW-ის სათანადოდ შესრულება.

მოცემული SOW და თანდართული ხელშეკრულება საკონსულტაციო და ტრენინგის მომსახურების თაობაზე, ერთობლივად წარმოადგენს სრულყოფილ და ექსკლუზიურ ხელშეკრულებას EMC-ისა და MoLHSA-ს შორის და იგი უნდა ჩაენაცვლოს მოცემულ მომსახურებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის სხვა მანამდე არსებულ ზეპირ ან წერილობით შეთავაზებას, შეთანხმებას და სხვა ამგვარ ურთიერთობას.


EMC² Vienna Computer Systems Austria GmbH	
Euro Plaza EMC Computer Systems Austria GmbH (Wienerbergstrasse 41) A-1120 Wien	Georgia MoLHSA
Signature: <i>ppa [Signature]</i>	Signature: <i>[Signature]</i>
Title: <i>PROKURIST</i>	Title: <i>Minister</i>
Name: <i>MARK HANLEY</i>	Name: <i>Zuzab Tchiaberashvili</i>
Date: <i>18. SEPTEMBER 2012</i>	Date: <i>27 September 2012</i>

ვენა	თბილისი
EMC Computer Systems Austria GmbH	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoLHSA)
ხელმოწერა: <i>ppa [Signature]</i>	ხელმოწერა: <i>[Signature]</i>
თანამდებობა: <i>PROKURIST</i>	თანამდებობა: <i>მინისტრი</i>
სახელი, გვარი: <i>MARK HANLEY</i>	სახელი, გვარი: <i>ზუზაბ ტჩიბერაშვილი</i>
თარიღი: <i>18. SEPTEMBER 2012</i>	თარიღი: <i>27 სექტემბერი 2012</i>

EMC²
 Computer Systems Austria GmbH
 Euro Plaza
 am Euro Platz 1 / 4. OG
 (Wienerbergstrasse 41)
 A-1120 Wien

დანართი - I

სამაგალითო ნიმუშები	არტეფაქტი
EMC Consulting – EMC ხარისხის მართვის სახელმძღვანელო	 EMC Consulting - EMC Quality Manager
EMC Consulting – ხარისხის გეგმის შაბლონი	 EMC Consulting - Quality Plan Template
EMC Consulting – EPDM SDD-ის შაბლონი	 EMC Consulting - EPDM Solutions Desig
EMC Consulting – რისკების მართვის (Tracking) შაბლონი	 EMC Consulting - Risk Tracking Templat
EMC Consulting – ხარჯების კონტროლის (Tracking) შაბლონი	 EMC Consulting - Cost tracking templat
EMC Consulting – ცვლილებების რეგისტრი	 EMC Consulting - Change Register.xlsx

8. 

10. ხელშეკრულება საკონსულტაციო და ტრენინგის მომსახურების თაობაზე

	კონტრაქტის # _____ განკუთვნილია მხოლოდ EMC-ისათვის
---	---

EMC Computer Systems Austria GmbH-ს (შემდგომში "EMC", მისამართი: Euro Plaza, Am Euro Platz 1/4 OG, Wienerbergstrasse 41-43/4, 1120, ვენა, ავსტრია) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში "კლიენტი", მისამართი: ავ. წერეთლის გამზ. 144, 0119, თბილისი, საქართველო) მიერ ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) საკონსულტაციო და ტრენინგის მომსახურების თაობაზე, ბოლო ხელმოწერის თარიღის მდგომარეობით (შემდგომში „ძალაში შესვლის თარიღი“). ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს, რომლის მიხედვითაც EMC და კლიენტი იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას EMC-ის მიერ საკონსულტაციო ან/და ტრენინგის მომსახურება, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. საკონსულტაციო ან/და ტრენინგის მომსახურებასთან დაკავშირებული ყოველი ცალკეული ვალდებულების დეტალები ჩამოყალიბებულია ცალკე ტექნიკურ დავალებაში (SOW).

ამგვარად, მოცემული დოკუმენტით განსაზღვრული პირობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.0 განსაზღვრებები

1.1 "კონფიდენციალური ინფორმაცია" ნიშნავს ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას ან მასალების გამჟღავნებას ერთი მხარის მიერ, ან ამ შეთანხმებთან დაკავშირებით ნებისმიერ საშუალებას, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის გამჟღავნებას წერილობით ან ზეპირად ან ინფორმაციის დაფიქსირებას, როდესაც

დაწესებულებაში ასეთი ინფორმაცია აღნიშნულია როგორც კონფიდენციალური. ამ შემთხვევაში გონიერი ბიზნეს პირი მიხვდება, იყოს კონფიდენციალური ან არა საჯაროდ ხელმისაწვდომი.

1.2 "საკონსულტაციო მომსახურება" ნიშნავს იმ მომსახურებას (ტიპიურად პროფესიული საკონსულტაციო მომსახურება), რომელიც გამოვლენილია ისეთად როგორც არის აღნიშნული სამუშაო განცხადებაში.

1.3 "მოსალოდნელი შედეგები" ნიშნავს საკონსულტაციო მომსახურებების მოსალოდნელ შედეგებს, როგორც მითითებულია SOW.

8. 



1.4 "ეტაპობრივი თარიღი" ნიშნავს თარიღს მომსახურობების შესრულებისა ან მოსალოდნელი შედეგების მიწოდებისა, როგორც ეს მითითებულია SOW-ში.

1.5 "ივენტების დახმარება/შემსუბუქება" ნიშნავს კლიენტის ნებისმიერ წარუმატებლობას, რათა განახორციელდეს ნებისმიერი ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მიმდინარე შეთანხმების გათვალისწინებით.

1.6 "სამუშაო განცხადება ('SOW') ნიშნავს, დოკუმენტს, რომელიც აკონკრეტებს მხარეთა ურთიერთობას კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით. სწორედ ეს დოკუმენტი ხელსმოწერილ იქნება მხარეების მიერ. ასევე შედის ცნობარები ამ შეთანხმებებისა და (II) სახელმწიფოს შესაბამისი ბიზნეს პარამეტრები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება; შედის ფასები, გადახდა, ხარჯის ანაზღაურება, დაწყების თარიღი, მიწოდების ვადები და მიღების კრიტერიუმები.

1.7 "ტრენინგის მომსახურობები" ნიშნავს იმ სატრენინგო მომსახურობებს, რომლებიც ჩამოთვლილია მიმდინარე EMC-ის სასწავლო კურსის კატალოგში ან ვებ გვერდზე.

1.8 "მომსახურება" ნიშნავს საკონსულტაციო მომსახურობას და / ან სასწავლო მომსახურობას.

2.0 საკონსულტაციო მომსახურება

2.1 თითოეული პროექტის დაწყება საკონსულტაციო მომსახურობისათვის რეგულირდება გამოყოფილად SOW-ს მიერ და იგი უნდა დაიწყოს მითითებულ თარიღზე.

2.2 საკონსულტაციო მომსახურების შესრულება --- EMC-იმ უნდა უზრუნველყოს საკონსულტაციო მომსახურება და გამოაქვეყნოს სავარაუდო შედეგები, მითითებული მოთხოვნების შესაბამისად ნებისმიერ SOW-ში.

2.3 EMC პერსონალის მოთავსება --- მიუხედავად იმისა, რომ EMC უნდა ცდილობდეს გუზრუნველყოს კლიენტის მოთხოვნები, EMC-ის უნდა ჰქონდეს საბოლოო და ერთპიროვნული პასუხისმგებლობა პერსონალის განლაგებისთვის. თუ კონკრეტული EMC პერსონალი შეწყვეტს მოვალეობის შესრულებას ავადმყოფობის, გადადგომის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, EMC დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს მის არსებით ჩანაცვლებას. თუ კლიენტი მოითხოვს EMC-ის პერსონალის წეილობით ჩანაცვლებას, მაშინ EMC უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო მცდელობა, რათა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სათანადო ჩანაცვლება. ყველა EMC პერსონალი (მათ შორის მისი ქვეკონტრაქტორები) უნდა იყოს



სათანადოდ გამოცდილნი. კვალიფიციურები და მცოდნეები, დავალებებისა და პასუხისმგებლობისთვის, რომელიც სწორედ მათ ენიჭებათ. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ საქმის ინდივიდუალურად და გონივრულად განხორციელებისა და დასრულების უნარი.

2.4 ეტაპობრივი თარიღების შეუსრულებლობის კორექტირება--- EMC არ იქნება ჩართული შეთანხმების დარღვევაში, ან ნებისმიერი SOW, თუ იგი არ აკმაყოფილებს ვალდებულებას, ასეთი მცდარობის საფუძველზე EMC აცნობებს კლიენტი წერილობით მიმდინარე პროცესებს.

2.5 სტანდარტული სამუშაო დღე - სტანდარტული სამუშაო დღე არის ნებისმიერი რვა საათი, (8) საათობრივი სამუშაო პერიოდში, ნებისმიერ დრო 8:00 AM და 6:00 PM-ს შორის. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საზოგადო და რელიგიური დღესასწაულებისა, (ან სხვა რამ, რაც არ არის მკაფიოდ მითითებული ამ კონსულტაციების, ტრენინგების და მომსახურების ხელშეკრულების წინ.

2.6 ქვეკონტრაქტორების გამოყენება-----მხარეები თანხმდებიან, რომ EMC შეიძლება აკავშიროს გარკვეული ასპექტების მომსახურება, იმ პირობით, ასეთი ქვეკონტრაქტორების დეტალები იყოს სრული, SOW-ს შესაბამისად ან სხვაგვარად -წერილობით შეთანხმებული კლიენტთან ერთად. სად იყენებს EMC ქვეკონტრაქტორებს, რათ უზრუნველყოს მომსახურების ნებისმიერი ასპექტები წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში? EMC უნდა დარჩება სრული პასუხისმგებლობის ქვეშ და დაექვემდებარება კლიენტს სუბკონტრაქტორების მოქმედებებისა და შეცდომებისთვის.

3.0 სასწავლო მომსახურებები

3.1 კურსები - EMC სტანდარტული ტრენინგის მომსახურება ხელმისაწვდომია მოქმედი კატალოგის ან ვებ გვერდის მეშვეობით. EMC სასწავლო მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც საკონსულტაციო მომსახურება.

3.2 გაუქმება და თანხის დაბრუნება - თუ კლიენტი უკვე წინასწარ აქვს გადახდილი და შემდგომში აუქმებს სტანდარტის სასწავლო მომსახურებას, მაშინ EMC უზრუნველყოფს თანხის სრულ დაბრუნებას. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კლიენტი უნდა ჯდებოდეს განსაზღვრულ ვადებში, რაც შეადგენს ორ კვირით ადრე წერილობით გაფრთხილებას, რათა დროულად შეწყდეს სასწავლო კურსი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმება ძალაში რჩება.

4.0 კლიენტის ვალდებულებები

8. 



4.1 კლიენტის მონაწილეობა და განრიგის ცვლილებები - კლიენტმა უნდა უზრუნველყოს EMC პერსონალი, შესაბამისი ბიექტების ხელმისაწვდომობით, (მათ შორის კომუნიკაციების საშუალებებით), ტექნიკით, სივრცით, დოკუმენტაციით, ქსელებით, ფაილებით, დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფით (საჭიროების შემთხვევაში). კლიენტი აღიარებს, რომ შედეგი, სიზუსტე და შინაარსი ნებისმიერი სამუშაო პროდუქტისა, დაკავშირებულია მომსახურებასთან, რომელიც შეიძლება იყოს დამოკიდებული კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შინაარსთან და სიზუსტესთან. კლიენტმა უნდა გამოიყენოს გონივრული მცდელობები და უზრუნველყოს ინფორმაციის სიზუსტე. EMC შეეცდება განათავსოს კლიენტის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები.

4.3 გამოყენების პროგრამები - კლიენტი უნდა უზრუნველყოს, რომ EMC იყოს ლიცენზირებული ან სხვაგვარად უფლება ჰქონდეს გამოიყენოს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა.


4.4 დადასტურება - კლიენტი ადასტურებს, რომ კლიენტი დაუყოვნებლივ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ამ განყოფილების ქვეშ და რომ დროულად აცნობოს ვალდებულებების შესრულების შესახებ და რომ EMC არ ექვემდებარება არცერთი დეფიციტი.

5. ვადა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულების ვადა - ეს შეთანხმება იწყებს თავისი თარიღის ძალაში შესვლას და იგი არ წყდება, როგორც ქვემოთაა მოცემული. ის დამთავრდება, მხოლოდ წერილობითი შეტყობინებით, რომელიც გაფრთხილების ძალაში შედის მიღებიდან ათი (10) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 სამუშაო განცხადება- თითოეული SOW იწყებს თარიღის გან, თუ წყდება შემდეგი დებულებები → 5.3 ან 5.4 ან 5.5 ან 5.6 ამ შეთანხმებას აგრძელებს მისი პირობების შესაბამისად.

5.3 SOW-ს შეწყვეტა შეუსრულებლობაზე - თითოეული მხარე აცნობებს სხვას წერილობით, სხვა მატერიალურ დარღვევის შემთხვევაში, SOW-ს ან ამ შეთანხმების თვალსაზრისით. მიმღებს ექნება ყველა საჭირო პირობა, (გარდა გათვალისწინებული შემთხვევებისა მოქმედი SOW-ში ან როდესაც ასეთი დარღვევა არ არის გამოუსწორებელი), (ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში მიღების შესახებ ცნობა ასეთი დარღვევის გამოსასწორებლად, ("მკურნალობის პერიოდი"). თუ მიმღები ასეთი გაფრთხილებას ვერ გამოასწორებს, მაშინ ასეთი ცნობის გამგზავნის ექნება შეტყობინების გაგზავნის წერილობითი შეწყვეტის პარამეტრები, რომელიც გაფრთხილების ძალაშია მიღებისთანავე, და

8. 



ასეთი გამგზავნის შემდეგ ექნება უფლება ეძიოს ისეთი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონს, ამ შეთანხმების ან / და მოქმედ SOW-ს.

5.4 SOW-ს შეწყვეტა გადახდისუუნარობისათვის - ჯანდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია შეწყვიტოს ნებისმიერი ან ყველა მიმდინარე SOW, დაუყოვნებლივ წერილობითი გაფრთხილებით, თუ:

5.4.1 დადგენილება გასცდა შეთანხმების ფარგლებს, რაც ავალდებულებს სასამართლოს კომპეტენტურ იურისდიქციას, რათამოხდეს წარმოების დასრულება, EMC-სთან დაკავშირებით;

5.4.2 მიზანი ხდება ადმინისტრატორის დანიშნისთვის, საქმის მართვისთვის, EMC-ს ბიზნესისა და მართის, ან დოკუმენტები არის წარდგენილი სასამართლოს კომპეტენტური იურისდიქციით EMC ადმინისტრატორის დანიშნისთვის, ან განზრახვის ცნობა დაინიშნოს ადმინისტრატორი EMC-ის ან მისი დირექტორების მიერ.

5.4.3 მიმღები არის წინასწარ გარკვეული EMC-ის ნებისმიერი აქტივების ან ვალდებულებებისა, ან თუნდაც გარემოებების წარმოქმნაში, რომლებიც ავალდებულებენ სასამართლოს კომპეტენტური იურისდიქციით, იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი სხვა პირი იღებს მფლობელობაში ან ყიდის EMC აქტივებს ;

5.4.4 EMC ხდის ნებისმიერი შეთანხმება ან კომპოზიციას მის კრედიტორებთან ერთად, ან აკეთებს სასამართლოგანაცხადს, მისი კრედიტორების დაცვის მიზნით, ნებისმიერ მხარეში, ან ხდება გაკოტრებული;

5.4.5 EMC წყვეტს, ან ემუქრება შეწყვიტოს საქმიანობა, ან:

5.4.6 EMC იღებს ან განიცდის რაიმე მსგავს ან ანალოგიურ აქციას რომელიმე იურისდიქციაში.

6.0 საკუთრების უფლებები

6.1 საკუთრების უფლებები - ყველა პაციენტი, საავტორო, სავაჭრო საიდუმლოება, მეთოდოლოგია, იდეები, გამოგონებები, კონცეფციები, ცოდნა, ტექნიკის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრება განვითარებული ან გათვალისწინებულ EMC -ეს მიერ. არის და რჩება EMC ქონება ("EMC საკუთრების უფლებები").

6.2 ყველა უფლება, სახელწოდება და ინტერესი ნებისმიერ სამუშაო პროდუქტში უნდა იყოს ექსკლუზიური EMC-ეს საკუთრება. სამუშაო პროდუქტი შეიცავს რაიმე ტიპის მასალას, პატენტებს, საავტორო ნაშრომებს, სავაჭრო საიდუმლოებას, მეთოდოლოგიას, იდეების, კონცეფციების, ცოდნა, ტექნიკის ან სხვა

8. 

MAA

ინტელექტუალური საკუთრების მიერ შემუშავებული EMC შეთანხმების განმავლობაში, ან ერთობლივად EMC-სა კლიენტის.

6.3 კლიენტი კეთილმოწყობილი მასალები - რაიმე ტიპის მასალა წარდგენილი დამკვეთის მიერ, გამოყენებისათვის EMC-ის მიერ უნდა დარჩეს როგორც კლიენტის ქონება. ყველა ასეთი მასალები უნდა დაუბრუნდეს კლიენტს დაუყოვნებლივ EMC-ის მიერ.

6.4 EMC საკუთრების უფლებების ლიცენზია - მთელი კურსი ამ შეთანხმებისა და შემდეგ ამ შეთანხმების შეწყვეტისა (ექვემდებარება კლიენტის გადახდას სრული მუშაობის პროდუქტში), და იმის გათვალისწინებით, რომ EMC საკუთრების უფლებები შესულია სამუშაო პროდუქტში, კლიენტი უფლებამოსილია გამოიყენოს EMC-ეს მსგავსი საკუთრების უფლებები, მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის შიდა მიზნებისათვის, და იმ მიზნებისათვის, რისთვისაც სამუშაო პროდუქტი იყო უზრუნველყოფილი.

6.5 სამუშაო პროდუქტის ლიცენზია - EMC აქვე ანიჭებს კლიენტი მუდმივობას, შეუქცევადობას, მსოფლიო მასშტაბებს, თავისუფალ ანაზღაურებას, არასამთავრობოს განსაკუთრებულ ლიცენზიას, რათა გამოიყენოს ნაწარმოები პროდუქტი. კლიენტი უფლებამოსილია გადასცეს ასეთი ლიცენზია ნებისმიერი მეშვიდრე ორგანიზაციას, საქართველოს ფარგლებში.

7.0 კონფიდენციალობა

7.1 კონფიდენციალური ინფორმაცია - მიმღები მონაწილე დაიცავს სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას იგივე სტანდარტის მოვლის გზით. გამოყენებისას მიმღები მხარე დაიცავს მსგავსი ბუნებისა და მნიშვნელობის ინფორმაციას, და არანაკლებ გონივრულად იზრუნებს მასზე. მიმღები მხარემ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მხოლოდ საკუთარი ვალდებულებების შესრულების ან თავისი უფლებების განხორციელების სახელზე და უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ მისი ორგანიზაციის პირებთან, რომელთაც აქვთ უფლება იცოდნენ ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია. ასეთ პირები ვალდებული არიან გააფორმონ წერილობითი ხელშეკრულება, რათა დაიცვან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, და დაუყოვნებლივ მოახსენონ მხარეებს რაიმე დარღვევის შესახებ.

7.1 მოქმედება არ ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც აუცილებლად მიეწოდება მიმღებ მხარეს, კანონით.

7.2 საჯაროობა - თითოეული მხარემ არ და არ უნდა გასცეს და არც დაეხმაროს ერთმანეთს, წარმოიშვას ან აწარმოოს წერილობითი საჯაროება, მარკეტინგი



გირაო ან სხვა გამოცემა, ან საჯარო განცხადებასთან დაკავშირებული რაიმე ფორმით შეთანხმება (მათ შორის მისი არსებობის), გარეშეწინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც არ უნდა იყოს უსაფუძვლო.

8.0 ინვოისის შედგენა და გადასახადი

8.1 გადახდა - EMC წარუდგენს ანგარიშგაქტურებს საფასურებსა და ხარჯების ანაზღაურებისათვის. საფასურის გადახდა კი ხდება განსაზღვრული წესით, მოქმედ SOW-ში. EMC საკრედიტო დამტკიცებასთან დაქვემდებარებული, ყველა უდავო თანხები არის ჯეროვანი სრული ოცდაათი (30) დღის შემდეგ, EMC-ს ინვოისის თარიღის შემდეგ. გადახდა უნდა ოხდეს ევროში. თუ რომელიმე უდავო გადახდა ჭიანჭურდება კლიენტის მიერ, მაშინ EMC -იმ შეიძლება დააკისროს 1.5% თვეში ან მაქსიმუმ კანონიერი საპროცენტო განაკვეთი, მოქმედი კანონის ქვეშ.

8.2 გადასახადები - გადასახადები არ შედის მომსახურების ფასებში. გარდა გადასახადებისა, რომელიც ეფუძნება EMC-ს წმინდა მოგებას, ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გადაიხადოს ყველა შესაძლო გაყიდვების, გამოყენება, დამატებითი ღირებულება, აქციზის და ნებისმიერი სხვა გადასახადები. რომლის მიმართაც ის იურიდიულად ვალდებულია. MoH მიაწვდის EMC-ის საგადასახადო ქვითრებს ან მსგავს მტკიცებულებებს გადახდის ნებისმიერი რაოდენობით. EMC პასუხისმგებელია ყველა გადასახადზე, რომელიც მას ეკისრება აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დროს.

9.1 **გარანტია** - EMC ახორციელებს მომსახურებას workmanlike წესით, იყენებს ყველა საჭირო უნარს და შესაბამისად ზრუნავს კარგი ინდუსტრიის პრაქტიკაზე. კლიენტმა უნდა აცნობოს EMC-ეს ნებისმიერი წარუმატებლობის შესახებ, ოცდაათი (30) დღის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ასეთი მარცხი პირველი ხდება და ასეთი შეტყობინება უნდა მოხდეს არა უგვიანეს ოცდაათი (30) დღის განმავლობაში. კლიენტმა შესაძლოა მოსთხოვოს EMC-ს გამოიყენოს ყველა საჭიროება, შეცდომების გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში თუ EMC-ს არ შეუძლია პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება, იგი ვალდებულია შეწყვიტოს SOW და დაუბრუნოს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც განახორციელა კლიენტმა.

9.2 EMC გასცემს ორდერს, რომ მას აქვს უფლება და უფლება უზრუნველყოს და / ან ლიცენზირებული გახადოს ყველა სამუშაო პროდუქტი და / ან მომსახურების დამკვეთის შესაბამისად ნებისმიერი SOW, და რომ ასეთი დებულება ან ლიცენზია არ დაარღვევს ნებისმიერი მსაე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას.

8. 

MAA

9.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვა და გამონაკლისები : გარდა სპეციალურად მითითებისა ამ გარანტიის მონაკვეთზე, EMC ხდის სხვა EXPRESS გარანტიებს, წერილობით ან ზეპირად. ასევე ყველა სხვა გარანტიებს, რომლებიც მათ შორის კონკრეტულად არის გამორიცხული, მაგრამ არ შემოიფარგლება სავაჭრო გარანტიით, ფიტნეს კონკრეტული მიზნისთვის.

10. შესრულება, ან ვაჭრობის გამოყენება.

10.0 პასუხისმგებლობის შეზღუდვა

10.1 ექვემდებარება 10.2 სექციას, თითოეული მხარეს ევალება საერთო პასუხისმგებლობა. არ მიიღება კონტრაქტს დაფუძნებული პრეტენზიები, გულგრილობა, ან მკაცრი ვალდებულების სამოქალაქო სამართალდარღვევა.

10.2 ეს შეთანხმებაარ უნდა შეიზღუდოს შემდეგისთვის: გარდაცვალება ან პირადი დაზიანება გამოწვეული დაუდევრობა; (II) თაღლითობის ან გაყალბების შემთხვევაში; თვითნებობის ან ამ შეთანხმების ზურგშეცევის შემთხვევაში.

10.3 კლიენტი უნდა იყოს პასუხისმგებელი სწორი და დროული მონაცემების უზრუნველყოფისთვის, რომ ნებისმიერი კლიენტი მონაცემების ნებისმიერი ღირებულება გამყარებული იქნას.

11.0 ზოგადი

11.1 მთლიანი შეთანხმება - ტერმინები შეიცავს მთელს წინამდებარე წარმოდგენას მხარეებს შორის, შეთანხმებები რაიმე საგნის შესახებ უნდა მოხდეს ზეპირად ან წერილობით..

11.2 გამოყოფილად- თუ რომელიმე დებულება ტარდება უკანონოდ , ასეთმა დებულებმა არ უნდა მოახდინოს არანაირი ზემოქმედება ან ზიანი დანარჩენი დებულებებისათვის.

11.3 გადაცემა - არც ერთ მხარეს არ უნდა მივანიჭოთ უფლებამოსილება, წინასწარი წერილობითი თანხმობის. თანხმობას არ უნდა იყოს უსაფუძვლოარამედ ნებისმიერი უფლების ან ინტერესის შესაბამისად (გარდა ფულის გამო ან საკუთარი გამო).



11.4 მსგავსი საქმიანობა - შესაბამისად უნდა იქნეს გაგებული: ხარისხის მოპოვება, მარკეტინგი, გაყიდვა, რომელიც ხელს უწყობს მომსახუროებასა და საქმიანობის მაღალ ხარისხს.

11.5 დამოუკიდებელი კონტრაქტორები - მხარეები მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორები, ამ შეთანხმების ყველა მიზნებისათვის. ორივე ორივე მხარე, როგორც ერთობლივია, ანუ პარტნიორები ნებისმიერი მიზნისთვის. არც ერთ მხარე მეორე მხარესთან არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ვალდებულებების დაკისრებასთან დაკავშირებით, წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.6 სამართლიანი დახმარება- ერთ მხარეს შეუძლია, შეუზღუდავად (მისი სხვა უფლებებითა და გარანტიებით) გასწიოს რაიმე დახმარება. (პირობების ფარგლებში)

11.7 კანონების შესაბამისობა და მმართველის სამართალი - ეს შეთანხმება ყველა ასპექტში რეგულირდება. ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ ინგლისურ სასამართლოებს ექნებათ ექსკლუზიური იურისდიქცია, რათა მოისმინონ და განსაზღვრონ ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა ან იმისათვის, რომ მოახდინონ შეთანხმება საკითხთან დაკავშირებით. EMC უნდა შეესაბამებოდეს ყველა მოქმედ კანონმდებლობას.

11.8 კონტროლის ექსპორტი - კლიენტი აცნობიერებს, რომ მომსახურებები ექვემდებარება შეერთებული შტატების მთავრობისა და სხვა ქვეყნის მთავრობების სააგენტოების წესებს. EMC -ის ებისმიერი მოვალეობაა აღმოუჩინოს პაციენტს ისეთი მომსახურება, ან ნებისმიერი პროდუქცია, დოკუმენტაცია, ან ნებისმიერი მედია რომელსაც ნებისმიერი ზემოაღნიშნული შეიცავს. ასევე როგორც ნებისმიერი სხვა ტექნიკურ დახმარება, რომელიც ასეთი ექსპორტის კანონები ექვემდებარება ყველა ასპექტში. კლიენტი ვალდებულია დაიცვას ექსპორტის კანონები.

11.9 უარის არ თქმა- უარის თქმა ნებისმიერ დარღვევაზე ან სირთულეზე არ უნდა მოხდეს.

11.10 ფორსმაჟორული - მხარე, დაუყოვნებლივ უნდა ამართლებდეს დაგვიანებით შესრულების ვალდებულებებს, გარკვეული მიზეზების გამო, რომელიც ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული. მსგავსი აქტების მეშვეობით, როგორიცაა, სამოქალაქო ომი, ხანძარი, წყალდიდობა, ეპიდემია, საკარანტინო შეზღუდვები, ომი, არეულობა, გაფიცვები ან საჭირო სამუშაოს და ა.შ. პირს, რომლისთვისაც შესრულება ხდება არახელსაყრელი, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სხვა ხასიათის ფორსმაჟორულ მხარეს, რითაც მიიღოს ყველა გონივრული

8. 

WAA

ძალისხმევა, შესრულების განსაახლებლად. მანდ უნდა ეცადოს შეამციროს უარყოფითი ეფექტი. თუ ფორსმაჟორული იწვევს შეფერხებასაწყისი თარიღიდან სამოცი (60) ან მეტი დღის განმავლობაში, მხარეს აქვს უფლება შეწყვიტოს.

EMC

Computer Systems Austria GmbH Vienna Euro Plaza am Euro Platz 1 / 4. OG (Wienerbergstrasse 41) EMC Computer Systems Austria GmbH A-1120 Wien	Georgia MoLHSA
Signature: <i>ppa Carl Hanley</i>	Signature: <i>გ. ჯიქია</i>
Title: <i>PROKURIST</i>	Title: <i>Minister</i>
Name: <i>MARK HANLEY</i>	Name: <i>Zurab Tchiaberashvili</i>
Date: <i>18. SEPTEMBER 2012.</i>	Date: <i>27 September 2012</i>



ვენა	თბილისი
EMC Computer Systems Austria GmbH	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (MoLHSA)
ხელმოწერა: <i>ppa Carl Hanley</i>	ხელმოწერა: <i>გ. ჯიქია</i>
თანამდებობა: <i>PROKURIST</i>	თანამდებობა: <i>მინისტრი</i>
სახელი, გვარი: <i>MARK HANLEY</i>	სახელი, გვარი: <i>ზურაბ ტჩიბერაშვილი</i>
თარიღი: <i>18. SEPTEMBER 2012.</i>	თარიღი: <i>27 სექტემბერი 2012</i>




KB/JEM/341643/14/UKM/437/352/12

EMC

Computer Systems Austria GmbH

Euro Plaza
am Euro Platz 1 / 4. OG
(Wienerbergstrasse 41)
A-1120 Wien



N 04-02/65990
27/09/2012

65990-04-02-2-201209271325



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2012 წლის 19 სექტემბრის №01/58037 წერილი და
გაცნობებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა სამედიცინო
დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში
განახორციელოთ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი ელექტრონული
სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად საჭირო ლიცენზიებისა და
მომსახურების მრავალწლიანი შესყიდვა იმ პირობით, თუ თქვენი უწყების
მოერ:

- 2012 წელს გათვალისწინებული იქნება - 3 664 500 აშშ დოლარის
ექვივალენტი ლარი;

2013 წელს გათვალისწინებული იქნება 1 889 531 აშშ დოლარის
ექვივალენტი ლარი.

პაპუნა პეტროშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგარეო ურთიერთობების განყოფილება
77545
27 09 2012
ს. მ. მ. მ.

